186
1987 /2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN—0132—4241

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი—აპრილი

1987 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

18619

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1987 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

8. რესპუბლიკის საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელი მუშაკების ატესტაციის შემოღების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

9. ხანდაზმულთა და ინვალიდთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

10. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წ. 12 ნოემბრის № 1350 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

11. იმ თანამდებობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც ტარდება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაცია.
12. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
13. „საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემის მართვის ორგანოების სტრუქტურის, მუშაკთა რაოდენობისა და შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 851 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების თაობაზე.
14. საქართველოს სს რესპუბლიკაში ნორმირების სრულყოფისა და ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემის შექმნის შესახებ.
15. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
16. „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნათა რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

8 რესპუბლიკის საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის შემოღების შესახებ

პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის შემოღების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 5 მარტის № 291 დადგენილების შესასრულებლად, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის საქმიანობის სრულყოფის, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების, მათი შრომის ეფექტიანობის, პასუხისმგებლობის, საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შემოღებულ იქნეს რესპუბლიკის საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაცია.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 5 მარტის № 291 დადგენილებით დაწესდა, რომ:

— საბჭოთა ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების წესს განსაზღვრავენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, პროფკავშირული, კომკავშირული, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა აპარატისა — მათი საერთო-საკავშირო ორგანოები, ორგანიზაციებში, რომლებსაც არა ჰყავთ საერთო-საკავშირო ორგანოები, — რესპუბლიკური ორგანოები სანიმუშო დებულების საფუძველზე და საკავშირო პროფსაბჭოსთან ან პროფკავშირთა შესაბამის საბჭოებთან შეთანხმებით;

— მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოთა ორაგნოების აპარატის მუშაკთა ატესტაციისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ შესაბამისი რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და მინისტრთა საბჭოები, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა აპარატისა — მათი საერთო-საკავშირო ან რესპუბლიკური ორგანოები;

— ატესტაციას ექვემდებარება საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის ყველა პასუხისმგებელი მუშაკი. ატესტაცია ტარდება შესაბამისი ორგანოების ყოველი არჩევნების შემდეგ;

— შესაბამის საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოებში არჩეულ ხელმძღვანელ მუშაკთა ატესტაცია ტარდება ამ ორგანოების რწმუნებათა ვადის გასვლის წინ;

— მცირერიცხოვანი ორგანიზაციებისა და ქვედანაყოფების პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციას ატარებენ ზემდგომი ორგანოები;

— საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის მუშაკთა ატესტაციას ატარებენ საატესტაციო კომისიები, რომლებსაც ამტკიცებენ მათი ხელმძღვანელი ორგანოები. კომისიების შემადგენლობამ უნდა უზრუნველყოს ატესტაციაგასავლელ მუშაკთა საქმიანობის ობიექტური და დემოკრატიული განხილვა და შეფასება;

— საატესტაციო კომისიები პასუხისმგებელ მუშაკთა საქმიანობის ყოველმხრივი განხილვის საფუძველზე განსაზღვრავენ შეეფერებიან თუ არა ისინი დაკავებულ თანამდებობებს, შეფასებას აძლევენ მათს პოლიტიკურ, საქმიან და ზნეობრივ თვისებებს და შეაქვთ შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოებში საჭირო რეკომენდაციები იმ მოტივების აღნიშვნით, რომელთა გამოც ისინი ეძლევათ;

— ატესტაციის დღიდან არა უმეტეს ორი თვის ვადაში შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოები განიხილავენ საატესტაციო კომისიათა რეკომენდაციებს და მოქმედი კანონმდებლობის განუხრელი დაცვით იღებენ გადაწყვეტილებებს მუშაკთა მიერ მიღწეული წარმატებებისათვის მათი წახალისების, შესაბამისი თანამდებობის მიხედვით მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში თანამდებობრივი სარგოების შეცვლის, სხვა სამუშაოზე გადაყვანის ან დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. ატესტაციაგავლილ პირთა ყურადღებას მიაპყრობენ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებებს;

— ატესტაციის შედეგების მიხედვით გადაწყვეტილებანი აპარატის იმ პასუხისმგებელ მუშაკთა მიმართ, რომელთა თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება ხდება ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით, მიიღება ამ ორგანოების თანხმობით;

— ატესტაციასთან დაკავშირებული შრომითი დავა, მათ შორის დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებლად ცნობილ მუშაკთა დათხოვნის საკითხებზე, განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა და მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, კოოპერაციულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების შესახებ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნების განუხრელი შესრულება მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, პრინციპულობისა და ობიექტურობის, კანონთა ზუსტი დაცვის ვითარებაში, ამასთან განსაკუთრე-

ბული ყურადღება დაუთმონ საჯაროობის უნარიან ორგანიზაციას, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინფორმირებას გაწეული მუშაობის შესახებ.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სხვა საზოგადოებრივმა ორგანოებმა განსაზღვრონ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოებში არჩეულ იმ ხელმძღვანელ მუშაკთა თანამდებობების ნუსხა, რომელთა ატესტაციას ატარებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რესპუბლიკის ზემდგომი პროფკავშირული, კომკავშირული, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანოები.

5. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაზღვრონ ატესტაციის მიმდინარეობისადმი კონტროლის მკაფიო სისტემა, მუდმივად მხედველობის არეში იქონიონ ხელმძღვანელი კადრების, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის მუშაკთა ატესტაცია, ამასთან მიიჩნიონ იგი კადრების მუშაობისადმი კოლექტიური კონტროლის, მათი საქმიანი კვალიფიკაციის ზრდის სტიმულირების ქმედით ფორმად.

6. რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სხვა საზოგადოებრივმა ორგანოებმა:

— ეფექტიანად გამოიყენონ საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის შესაძლებლობა მთლიანად აპარატის მუშაობის დონის, პასუხისმგებლობისა და საქმიანობის შედეგიანობის ამაღლების, მუშაობის გარდაქმნის სტრატეგიის რეალიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა გადაჭრით აღმოფხვრის მიზნით.

— უკომპრომისოდ ებრძოლონ უწყებრიობისა და კუთხურობის, უპასუხისმგებლობის, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების გამოვლინებებს; განუვითარონ აპარატის მუშაკებს ისეთი თვისებები, როგორიცაა პრინციპულობა, თვითდისციპლინა და ორგანიზებულობა, კომპეტენტურობა და მაღალი პროფესიონალიზმი, ახლის გრძნობა, ინიციატივიანობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, იმის უნარი, რომ თვითკრიტიკულად შეაფასონ თავისი საქმიანობა, იკისრონ პასუხისმგებლობა საკითხთა გადაწყვეტისათვის, გულისხმიერი, ყურადღებიანი დამოკიდებულება ადამიანების აზრის, თხოვნისა და შენიშვნებისადმი.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სხვა საზოგადოებრივმა ორგანოებმა შექმნან საატესტაციო კომისიები, დაამტკიცონ შესაბამის აპარატებში ატესტაციის ჩატარების კონკრეტული ვადები და გრაფიკები, აგრეთვე დებულებანი საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ სკკ

ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 5 მარტის № 291 დადგენილებით ძოყონეული საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების წესის სანიმუშო დებულების საფუძველზე.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ძიმდინარე წლის 1 მარტიდან ატარებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციას და გადასინჯავს ატესტაციის ჩატარების წესის დებულებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 5 მარტის № 291 დადგენილებით დამტკიცებული საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების წესის სანიმუშო დებულების გათვალისწინებით.

9. საჭიროდ ჩაითვალოს ჩატარდეს 1987 წლის მაისში რესპუბლიკის საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირ-სემინარი ატესტაციის ჩატარების წესის, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების სანიმუშო დებულების და აღნიშნული ატესტაციის ჩატარების თაობაზე სხვა ნორმატიული დოკუმენტების გაცნობის მიზნით.

თათბირ-სემინარისადმი ხელმძღვანელობა დაევალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებას.

10. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებამ დააწესოს კონტროლი ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი, სისტემატურად განაზოგადოს რესპუბლიკის საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების მიერ ამ დარგში გაწეული მუშაობა და მიიღოს საჭირო ზომები სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ჯ. პატიაშვილი	**პ. გილაშვილი**	**ო. ჩერქეზია**

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ვ. სირაძე	**ა. შარაშიძე**

ქ. თბილისი, 1987 წ. 7 აპრილი, № 195.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიმუშო დებულება

საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაცია ტარდება „საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციის შემოღების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 5 მარტის № 291 დადგენილების შესაბამისად.

ატესტაცია ტარდება საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის საქმიანობის სრულყოფის, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების, მათი კვალიფიკაციის ზრდისა და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების სტიმულირების, ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტიურობის განვითარების მიზნით.

ატესტაციის დროს ფასდება მუშაკთა პოლიტიკური, საქმიანი და ზნეობრივი თვისებები, მათი კულტურისა და ადამიანებთან მუშაობის უნარის დონე და მიიღება დასკვნები იმის შესახებ, შეეფერებიან თუ არა ისინი დაკავებულ თანამდებობას.

2. ატესტაცია ტარდება ყველა საბჭოთა ორგანოსა და პროფკავშირული, კომკავშირული, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა აპარატში.

შესაბამის საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოებში არჩეულ ხელმძღვანელ მუშაკთა ატესტაციას ატარებენ ზემდგომი ორგანოები.

მცირერიცხოვანი ორგანიზაციებისა და ქვედანაყოფების პასუხისმგებელ მუშაკთა ატესტაციას ატარებენ ზემდგომი ორგანოები.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოთა ორგანოების აპარატის მუშაკთა ატესტაციისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებენ ამ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და მინისტრთა საბჭოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა აპარატისა — მათი საერთო-საკავშირო ან რესპუბლიკური ორგანოები.

II. ატესტაციის ჩატარების ვადები, საატესტაციო კომისიების შექმნა და შემადგენლობა

3. ატესტაცია ტარდება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ორგანოების ყოველი არჩევნების შემდეგ. აპარატში მუშაკთა ატესტაციის პერიოდის ხანგრძლივობა **არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების დღიდან.**

შესაბამის საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანოებში არჩეულ ხელმძღვანელ მუშაკთა ატესტაცია ტარდება ამ ორგანოების რწმუნებათა ვადის გასვლის წინ.

აპარატში ატესტაციის ჩატარების კონკრეტულ ვადებს, აგრეთვე გრაფიკს ამტკიცებს შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანო პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით, და ეცნობება ატესტაციაგასავლელ მუშაკებს ატესტაციის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

მორიგ ატესტაციაში არ შეიტანებიან პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც ერთ წელიწადზე ნაკლებია მუშაობენ დაკავებულ თანამდებობაზე, ახალგაზრდა სპეციალისტები, ორსული ქალები. ბავშვის მოსავლელად შვებულებაში მყოფი ქალები მორიგ ატესტაციაში შეიტანებიან სამუშაოზე გამოსვლის შემდეგ არა უადრეს ერთი წლისა.

4. ატესტაციის ჩასატარებლად ხელმძღვანელი ორგანო ამტკიცებს საატესტაციო კომისიას თავმჯდომარის, მდივნისა და კომისიის წევრთა შემადგენლობით, საატესტაციო კომისიაში შედიან საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანოს ხელმძღვანელები, მაღალკვალიფიციური და ავტორიტეტიანი პასუხისმგებელი მუშაკები, ამ ორგანოს აპარატის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ აგრეთვე სახალხო დეპუტატები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არჩევით ორგანოთა წევრები. საჭირო შემთხვევებში დასაშვებია რამდენიმე საატესტაციო კომისიის შექმნა.

III. ატესტაციის ჩატარების წესი

5. ატესტაციის ჩატარებას წინ უნდა უძღოდეს სათანადო მოსამზადებელი მუშაობა.

თითოეულ მუშაკზე, რომელიც ატესტაციას ექვემდებარება, ატესტაციის დაწყებამდე არა უგვიანეს ორი კვირისა დგება დახასიათება, რომელსაც ამზადებს მისი უშუალო ხელმძღვანელი პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად. დახასიათება უნდა შეიცავდეს მუშაკის პიროვნების, ინდივიდუალური თავისებურებების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების ყოველმხრივ შეფასებას. მომდევნო ატესტაციების დროს კომისიას წარედგინება აგრეთვე წინა ატესტაციის საატესტაციო ფურცელი.

ატესტაციაგასავლელ მუშაკს წინასწარ, არანაკლებ ორი კვირისა ატესტაციამდე, უნდა გაეცნოს მასზე წარდგენილი დახასიათება.

6. ატესტაცია ტარდება იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის დასწრებით, რომელშიც მუშაობს ატესტაციაგასავლელი პირი. საატესტაციო კომისია ისმენს ატესტაციაგასავლელი პირის ინფორმაციას მისი მუშაობის შესახებ და განიხილავს წარდგენილ მასალებს. ატესტაციაგასავლელი პირის მუშაობის განხილვა უნდა მიმდინარეობდეს მომთხოვნელობის, პრინციპულობისა და კეთილმოსურნეობის ვითარებაში, რაც გამორიცხავს სუბიექტივიზმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მუშაკი არ გამოცხადდება საატესტაციო კომისიის სხდომაზე საპატიო მიზეზით, კომისიას შეუძლია ჩაატაროს ატესტაცია მის დაუსწრებლად.

მუშაკის პოლიტიკური, საქმიანი და ზნეობრივი თვისებების, სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისადმი მისი დამოკიდებულების ყოველმხრივი, ობიექტური განხილვის საფუძველზე საატესტაციო კომისია აძლევს მის საქმიანობას ერთ-ერთ შემდეგ შეფასებას:

ა) შეეფერება დაკავებულ თანამდებობას;

ბ) შეეფერება დაკავებულ თანამდებობას იმ პირობით, რომ გააუმჯობესებს მუშაობას და შეასრულებს კომისიის რეკომენდაციებს, ამასთან გაივლის ხელახალ ატესტაციას ერთი წლის შემდეგ;

გ) არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას.

საატესტაციო კომისიას ატესტაციის შედეგების მიხედვით შეუძლია მიიღოს რეკომენდაციები ცალკეულ მუშაკთა მიერ მიღწეული წარმატებებისათვის მათი წახალისების, შესაბამისი თანამდებობის მიხედვით მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში თანამდებობრივი სარგოების შეცვლის, თანამდებობრივი სარგოების დანამატების დანიშვნის, შეცვლის ან გაუქმების, დასაწინაურებელ რეზერვში ჩარიცხვის, მუშაკთა თანამდებობრივი დაქვეითების ან დათხოვნის შესახებ, აგრეთვე შეიტანოს წინადადებანი ატესტაციაგავლილ პირთა საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების, სამსახურებრივი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.

7. მუშაკის საქმიანობის შეფასება და კომისიის რეკომენდაციები მიიღება ღია კენჭისყრით ატესტაციაგასავლელი მუშაკის დაუსწრებლად. ატესტაცია და კენჭისყრა ტარდება, თუ ესწრება საატესტაციო კომისიის დამტკიცებული შემადგენლობის წევრთა არანაკლებ ორი მესამედი. კენჭისყრის შედეგები განისაზღვრება ხმის უმრავლესობით. ხმების თანაბარი რაოდენობისას ატესტაციაგავლილი მუშაკი ჩაითვლება დაკავებული თანამდებობისათვის შესაფერისად. ატესტაციის შედეგები მუშაკს ეცნობება კენჭისყრის დამთავრებისთანავე.

ატესტაციის შედეგები (შეფასება და რეკომენდაციები) შეიტანება საატესტაციო ფურცელში, რომელიც დგება ერთ ცალად (თან ერთვის) და ხელს აწერენ საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ კენჭისყრაში. ატესტაციის შედეგების მიხედვით სხვა დოკუმენტები არ ფორმდება.

საატესტაციო ფურცელი და ატესტაციაგავლილი მუშაკის დახასიათება ინახება მის პირად საქმეში.

IV. გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიიღება ატესტაციის შედეგების მიხედვით

8. ატესტაციის შედეგები ეცნობება შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოს საბჭოთა ან საზოგადოებრივი ორგანოს აპარატის თითოეულ სტრუქტურულ ქვედანაყოფში ატესტაციის ჩატარების შემდეგ ერთი კვირის ვადაში.

ხელმძღვანელი ორგანო საატესტაციო კომისიის შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით ცალკეულ გადაწყვეტილებას ცალკეულ მუშაკთა მიერ მიღწეული წარმატებებისათვის ძათი წახალისების, შესაბამისი თანამდებობის მიხედვით მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში თანამდებობრივი სარგოების შეცვლის, თანამდებობრივი სარგოების დანამატების დანიშვნის, შეცვლის ან გაუქმების, საქმიანი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაგზავნის, თანამდებობრივი დაწინაურების ან დაქვეითების, ატესტაციის შედეგების მიხედვით დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებლად ცნობილ მუშაკთა დათხოვნის შესახებ, ან ატესტაციაგავლილ პირთა ყურადღებას მიაპყრობს მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებებს.

აღნიშნული გადაწყვეტილებანი მიიღება მუშაკის ატესტაციის დღიდან არა უმეტეს ორი თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ თანამდებობრივი სარგოს შემცირება, მისი დანამატის შემცირება ან გაუქმება, დაბალ თანამდებობაზე გადაყვანა, ატესტაციის შედეგების მიხედვით მუშაკის თანამდებობიდან განთავისუფლება არ დაიშვება.

მუშაკის ავადმყოფობის დრო ორთვიან ვადაში არ ითვლება. ატესტაციის შედეგების მიხედვით გადაწყვეტილებანი საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოების აპარატის იმ პასუხისმგებელ მუშაკთა მიმართ, რომელთა თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება ხდება ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით, მიიღება ამ ორგანოების თანხმობით.

ატესტაციის შედეგების მიხედვით დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებლად ცნობილი მუშაკის დათხოვნა ხდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებულ საფუძველზე.

9. ატესტაციასთან დაკავშირებული შრომითი დავა, მათ შორის დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებლად ცნობილ მუშაკთა დათხოვნის საკითხებზე, განიხილება შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ატესტაციის შედეგების მიხედვით ხელმძღვანელი ორგანო პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშავებს საჭირო ღონისძიებებს საატესტაციო კომისიის რეკომენდაციებისა და პასუხისმგებელ მუშაკთა იმ წინადადებების შესასრულებლად, რომლებიც გამოითქვა ატესტაციის მსვლელობაში აპარატის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, და უზრუნველყოფს მათს განხორციელებას.

11. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და მინისტრთა საბჭოები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოები ახორციელებენ სისტემატურ კონტროლს ატესტაციის სწორად ჩატარებისადმი, იღებენ ზომებს მისი სრულყოფისათვის, განაზოგადებენ და ავრცელებენ დადებით გამოცდილებას ამ საქმეში, იღებენ საჭირო ზომებს კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საატესტაციო ფურცელი

1. გვარი, სახელი, მამის სახელი _____

_____

2. დაბადების წელი _____

3. ცნობები განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ _____
(რა და როდის

_____

დაამთავრა, სპეციალობა და კვალიფიკაცია განათლების მიხედვით, სამეცნიერო

_____

ხარისხი, სამეცნიერო წოდება)

4. ატესტაციის მომენტისათვის დაკავებული თანამდებობა და ამ თანამდებობაზე დანიშვნის თარიღი _____

_____

5. საერთო შრომის სტაჟი _____
(მათ შორის აპარატში მუშაობის სტაჟი)

6. ატესტაციაგასავლელი მუშაკისათვის მიცემული შეკითხვები და მისი პასუხები _____

_____

_____

7. საატესტაციო კომისიის წევრთა მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი _____

_____

8. ატესტაციაგასავლელი მუშაკის მიერ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებანი _____

_____

9. წინა ატესტაციის რეკომენდაციების შესრულება _____

_____

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

10. მუშაკის საქმიანობის შეფასება კენჭისყრის შედეგების მიხედვით _____

_____

ხმების რაოდენობა: მომხრე _____ წინააღმდეგი _____

11. საატესტაციო კომისიის რეკომენდაციები _____

_____

_____

12. შენიშვნები _____

საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე	ხელმოწერა	ხელმოწერის გაშიფვრა
საატესტაციო კომისიის მდივანი	ხელმოწერა	ხელმოწერის გაშიფვრა
საატესტაციო კომისიის წევრები	ხელმოწერა	ხელმოწერის გაშიფვრა

ატესტაციის თარიღი _____

საატესტაციო ფურცელს გავეცანი _____
(ატესტაციაგავლილი მუშაკის ხელმოწერა და თარიღი)

13. ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილება ატესტაციის შედეგების მიხედვით და მისი მიღების თარიღი _____

_____

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

9 ხანდაზმულთა და ინვალიდთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში თანამიმდევრულად ხორციელდება მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებანი. გარკვეული მუშაობაა გაწეული პენსიონერთა მატერიალური კეთილდღეობის ასამაღლებლად, გაძლიერდა ზრუნვა სახლ-ინტერნატებში მცხოვრები მარტოხელა ხანდაზმული მოქალაქეებისა და ინვალიდებისათვის, გადიდდა მათი კვების ხარჯების ნორმები, არამობილურ მარტოხელა ინვალიდებს მიეჩინა საპატრონაჟო მედპერსონალი, ორგანიზებულია მათი სამედიცინო მომსახურება, გაუმჯობესდა მათი დასვენების პირობები. სახლ-ინტერნატები კაპიტალურად შეკეთდა, ბევრ მათგანში განახლდა რბილი და მაგარი ინვენტარი.

ამასთანავე ზოგიერთი საბჭოთა და სამეურნეო ორგანო ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობს შრომისუუნაროთა და ხანდაზმულთა მოთხოვნილება-საჭიროებებს, არ იღებს გადამწყვეტ ზომებს ამ მოქალაქეთა სამედიცინო კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა სახის სოციალურ მომსახურებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ჯერ კიდევ არ არის ორგანიზებული მარტოხელა მოქალაქეთა — ხანდაზმულთა და ინვალიდთა მომსახურება საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების მეშვეობით.

არადამაკმაყოფილებლად ვითარდება ახალი სახლ-ინტერნატების ქსელი, მათი მშენებლობის ვადები 2-3-ჯერ აღემატება ნორმატიულს. მაგალითად, დუშეთის რაიონში ბაზალეთის ტბასთან 210-ადგილიანი სახლ-ინტერნატის მშენებლობაზე, რომელიც 1980 წელს დაიწყო, დღემდე შესრულებული სამუშაოები სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მხოლოდ 59 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა ნორმების მიხედვით ეს ობიექტი ჯერ კიდევ 1982 წელს უნდა ამოქმედებულიყო. არ სრულდება „ნაკლებუზრუნველყოფილი პენსიონერებისა და ოჯახების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მარტოხელა ღრმად მოხუცებული მოქალაქეებისათვის ზრუნვის გაძლიერების პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 1 ოქტომბრის № 644 დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ეხება საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) შრომის ვეტერანთათვის სახლ-ინტერნატების მშენებლობას წილობრივ საწყისებზე.

არ მიმდინარეობს სამუშაოები რესპუბლიკის დიდ ქალაქებში მარტოხელა მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სახლების მრავალსართულიანი ბლოკ-სექციების ასაშენებლად, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 28 თებერვლის № 124 დადგენილებით „მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

„ხანდაზმულთა და ინვალიდთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1987 წლის 22 იანვრის № 95 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა:

— მიიღონ ზომები ხანდაზმულთა და ინვალიდთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, გადაჭრით აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, მიაღწიონ იმას, რომ ყველგან შეიქმნას საზოგადოების ხანდაზმულ წევრთა მოთხოვნილება-საჭიროებებისადმი გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულების ვითარება, გააფართოონ დიდი გამოცდილების მქონე შრომის ვეტერანთა შეძლებისდაგვარ შრომითს საქმიანობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აღმზრდელობითს მუშაობაში მონაწილეობის შესაძლებლობანი;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებას, რაციონალური და ხარისხოვანი კვების ორგანიზაციას სახლ-ინტერნატებში, მომსახურების ახალი, ხანდაზმულებისა და ინვალიდებისათვის მოხერხებული ფორმების განვითარებას, მათი დასვენებისათვის სათანადო პირობების შექმნას;

— განიხილონ ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში მოქალაქეთა გადასახლებასთან დაკავშირებით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის ამ სახლ-ინტერნატების მუშაკთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის გადაცემის საკითხი;

— მიიღონ დამატებითი ზომები ხანდაზმულ და შრომისუუნარო მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების ახალი ფორმების ფართოდ განვითარებისათვის, რისთვისაც უზრუნველყონ, რომ შეიქმნას:

პენსიონერთა სოციალური მომსახურების ორი ტერიტორიული ცენტრი, ამ ცენტრებში მათი მუდმივი, დროებითი ან დღისით ყოფნის გათვალისწინებით სამედიცინო დახმარების გაწევით, კვებით, შრომითი დასაქმების, კულტურული დასვენების, აგრეთვე მომსახურების სხვა სახეობათა ორგანიზაციით: ერთი — **დუშეთის რაიონში ბაზალეთის ტბასთან მშენებარე სახლ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნატის ბაზაზე 1987 წელს და მეორე — ასეთივე სახლ-ინტერნატის ბაზაზე ქალაქ ქუთაისში 1988 წელს;

მარტოხელა ხანდაზმული და შრომისუუნარო მოქალაქეებისათვის ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილებანი მათთვის საჭირო მომსახურების გასაწევად;

— გაიღონ ზემოაღნიშნული ცენტრებისა და განყოფილებების შექმნასთან და მუშაობასთან დაკავშირებული ხარჯები რესპუბლიკის ბიუჯეტით სოციალური უზრუნველყოფისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მიიღოს ზომები სახლ-ინტერნატებში მცხოვრები ხანდაზმულებისა და ინვალიდებისათვის სამედიცინო დახმარების გასაუმჯობესებლად, ამ სახლების მედიცინის მუშაკთა კადრებით დასაკომპლექტებლად, თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით, აპარატურითა და საჭირო სამკურნალწამლო პრეპარატებით უზრუნველსაყოფად.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა ხანდაზმულთა და ინვალიდთა ახალი სახლ-ინტერნატების მშენებლობის პროექტების განხილვისას გაითვალისწინოს დასახლებულ პუნქტებთან მათი მაქსიმალური მიახლოების აუცილებლობა იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის სამედიცინო და სხვა სახის მომსახურების ჯეროვანი უზრუნველყოფის მიზნით.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— გაითვალისწინოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987-1990 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტში ხანდაზმულთა და ინვალიდთა 1200-ადგილიანი სახლ-ინტერნატების მშენებლობა (300-300 ადგილი ყოველწლიურად), რაც განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1987 წლის 22 იანვრის № 95 დადგენილების № 1 დანართით;

— გამოუყოს 1987-1990 წლებში სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს 63 სანიტარიული ავტომობილი (მათ შორის 1987-1989 წლებში — 15-15 და 1990 წელს — 18), რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1987 წლის 22 იანვრის № 95 დადგენილების № 2 დანართით.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქაგრომშენმა“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კაპიტალური მშენებლობის მთავარმა სამმართველომ მიიღონ ყოველგვარი საჭირო ზომები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1985 წლის 1 ოქტომბრის № 644 დადგენილებითა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 28 თებერვლის № 124 დადგენილებით გათვალისწინებული სახლ-ინტერნატების მშენებლობის საგეგმო დავალებათა უცილობლივ შესრულებისათვის 1987-1990 წლებში.

6. საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა გააფართოოს მარტოხელა ხანდაზმულ მოქალაქეთა და ინვალიდთა კონტინგენტის პატრონაჟი მედდების მიერ მომსახურების პრაქტიკა მარტოხელა ხანდაზმული მოქალაქეებისათვის პატრონაჟი მედდების მიერ ბინაზე სამედიცინო მომსახურების გასაწევად, აგრეთვე მათთვის სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაწევად ქ. მინსკისა და ვოლგოგრადის წითელი ჯვრის ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით და შედეგების შესახებ მოგვახსენოს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ბოლომდე.

7. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1987 წლის 22 იანვრის № 95 დადგენილებით

ა) დაევალათ:

—სსრ კავშირის სახმშენს:

დაამთავროს 1987 წელს პენსიონერთა სახლ-ინტერნატების, სოციალური უზრუნველყოფის ტერიტორიული ცენტრების, მარტოხელა ხანდაზმული მოქალაქეებისა და მეუღლეებისათვის სპეციალური საცხოვრებელი სახლების სხვადასხვა ტიპის პროექტების შემუშავება ქვეყნის ყველა ბუნებრივ-კლიმატური ზონის მიხედვით;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1987 წელს ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების და პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიული ცენტრების ავეჯითა და მოწყობილობით აღჭურვის ტაბელი მათი ექსპლუატაციის ვადების დაწესებით;

— სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცის სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით დაამტკიცოს სამი თვის ვადაში ტიპობრივი დებულებანი პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიული ცენტრის შესახებ და მარტოხელა ხანდაზმული და შრომისუუნარო მოქალაქეებისათვის ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილების შესახებ, აგრეთვე ასეთი ცენტრებისა და განყოფილებების მედიცინის მუშაკთა საშტატო ნორმატივები და მომსახურე პერსონალის ტიპობრივი შტატები;

— სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს — შეიმუშაოს 1987-1988 წლებში და აწარმოოს მცირე მექანიზაციის საშუალებანი და სამარჯვები სახლ-ინტერნატებში, პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ცენტრებში და ბინაზე ხანდაზმულ და შრომისუუნარო მოქალაქეთა მომსახურების გასაადვილებლად, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ 1990 წლისათვის მათი გამოშვება გაიზარდოს იმ დონემდე, რაც განაპირობებს სოციალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფის ორგანოთა განაცხადების სრულ დაკმაყოფილებას ჯეთ საშუალებებსა და სამარჯვებზე;

— სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს — გააფართოოს ხანდაზმულთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებისა და პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიული ცენტრებისათვის სპეციალური ავეჯის წარმოება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განაცხადების მიხედვით, ამასთან მხედველობაში იქონიოს 1995 წლისათვის მასზე მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება.

ბ) მიღებულია წინადადებანი:

— სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისა — იმის შესახებ, რომ მეთორმეტე ხუთწლედში ააშენონ საქვეუწყებო საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) შრომის ვეტერანებისათვის 9049-ადგილიანი სახლ-ინტერნატები „საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) შრომის ვეტერანებისათვის სახლ-ინტერნატების ორგანიზაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1984 წლის 28 აპრილის № 384 დადგენილებით გათვალისწინებული წესით;

— კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოსი, სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა — იმის შესახებ, რომ მეთორმეტე ხუთწლედში ააშენონ ხანდაზმულებისა და ინვალიდებისათვის 9000-ადგილიანი საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო სახლ-ინტერნატები კოლმეურნეობათა სახსრებისა და კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრების კოოპერირების ხარჯზე, სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისათვის ამ წლებში დაწესებული საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტების ფარგლებში;

გ) თანხმობა მიეცა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომს განავითაროს ამ კავშირის სახსრების ხარჯზე საპატრონაჟო სამსახური ომისა და შრომის ვეტერანებისა და მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეებისათვის სამედიცინო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო დახმარების გასაწევად, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ 1995 წლისათვის პატრონაჟი მედდების რაოდენობა გაიზარდოს 6,5 ათას კაცამდე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ჯ. პატიაშვილი	**ო. ჩერქეზია**	**ვ. სირაძე**

ქ. თბილისი, 1987 წ. 7 აპრილი, № 183.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

10 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 12 ნოემბრის № 1350 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებთან და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების ახალი რედაქციის დამტკიცებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 12 ნოემბრის № 1350 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში შესატანი თანდართული ცვლილებანი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის შესაბამისად.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 12 ნოემბრის № 1350 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

№ 4 დანართი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 აპრილის № 377 დადგენილებისა „მანქანათმშენებლობის და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის, მათი ხელფასის გადიდებისა და მოწესრიგების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 ივნისის № 566 დადგენილებით, ამასთან შენარჩუნებულია აღნიშნული დანართის შენიშვნით გათვალისწინებული ოდენობა თანამდებობრივი სარგოების გადიდებისა სასწავლებლებში მხატვრული რეწვის პროფესიების შესასწავლად;

1-ლი პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 იანვრის № 34 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობისათვის მექანიზატორთა კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 თებერვლის № 119 დადგენილებით;

№ 3 დანართი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1968 წლის 29 დეკემბრის № 1045 დადგენილებისა „მშენებლობაში და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებული საშუალოხელფასიანი მუშაკებისათვის ხელფასის გადიდების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 5 თებერვლის № 61 დადგენილებით, ამასთან შენარჩუნებულია სასწავლო კომბინატების (ტექნიკური სკოლების, სასწავლო პუნქტების) მუშაკთა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მთავარი ბუღალტრის (მთავარი ბუღალტრის უფლებებით უფროსი ბუღალტრის) თანამდებობრივი სარგოები და ამ დანართის შენიშვნით გათვალისწინებული ოდენობა თანამდებობრივი სარგოების გადიდებისა სასწავლებლებში მხატვრული რეწვის პროფესიების შესასწავლად;

№ 9 დანართი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1968 წლის 29 დეკემბრის № 1046 დადგენილებისა „საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების საშუალოხელფასიანი მუშაკებისათვის ხელფასის გადიდების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 5 თებერვლის № 62 დადგენილებით, ამასთან შენარჩუნებულია სასწავლო კომბინატების (ტექნიკური სკოლების) მუშაკთა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მთავარი ბუღალტრის (მთავარი ბუღალტრის უფლებებით უფროსი ბუღალტრის) თანამდებობრივი სარგოები და ამ დანართის შენიშვნით გათვალისწინებული ოდენობა თანამდებობრივი სარგოების გადიდებისა სასწავლებლებში მხატვრული რეწვის პროფესიების შესასწავლად;

მე-6 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 24 ივნისის № 569 დადგენილებისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისა და კადრების შენარჩუნების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 18 ოქტომბრის № 757 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1987 წ. 3 მარტი, № 113.

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 მარტის № 113 დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეიტანება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში

1. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ნოემბრის № 664 დადგენილებაში „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის როლის გაძლიერების შესახებ“:

ა) 1-ლ პუნქტში სიტყვა: „რვაწლიანი“ შეიცვალოს სიტყვებით: „არასრული საშუალო“;

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-4 პუნქტი.

2. „ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 5 სექტემბრის № 574 დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის უკანასკნელ აბზაცში ამოღებულ იქნეს სიტყვები: „გააფართოონ მოსწავლეთა მიერ ზოგადი განათლების მიღება ერთ და ორწლიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 3 მარტის № 113 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 მარტის № 180 დადგენილების მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე აბზაცები და „ე“ ქვეპუნქტი, მე-14 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი.

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 19 აპრილის № 235 დადგენილება „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შრომითი მომზადების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ“.

3. „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 თებერვლის № 80 დადგენილების მე-3 პუნქტის მესამე აბზაცი.

4. „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში კვალიფიციურ მუშათა მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 ივნისის № 371 დადგენილების 1-ლი პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები.

5. „სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 სექტემბრის № 567 დადგენილების მე-18 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები და ამ დადგენილების № 8 დანართის მე-3 შენიშვნა შრომის ანაზღაურების ნაწილში.

6. „საქართველოს სსრ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 აპრილის № 302 დადგენილების მე-16 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ხელფასის მიცემის ნაწილში.

7. „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 აპრილის № 286 დადგენილების მე-4 პუნქტის მესამე, მეოთხე და მეხუთე აბზაცები, მე-8 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები.

8. „კვალიფიციური კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესებისა და მშენებლობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 23 ოქტომბრის № 755 დადგენილების მე-7 პუნქტი.

9. „სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 3 ნოემბრის № 776 დადგენილების მე-6 პუნქტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობათა გადაცემის ნაწილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

II

იმ თანამდებობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც ტარდება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაცია

„მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის შემოღების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 26 ივლისის № 531 დადგენილებისა და „საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო-ორგანიზაციებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 26 ივლისის № 531 დადგენილების მოქმედების გავრცელების შესახებ“, მისი 1980 წლის 20 აგვისტოს № 718 დადგენილების, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ნოემბრის № 695 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-ჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, და დამტკიცდეს ნუსხა თანამდებობებისა, რომლებშიც ტარდება ამ სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაცია, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ დააწესოს ქმედითი კონტროლი სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების მუშაკთა ატესტაციის მიმდინარეობისადმი და უზრუნველყოს მისი სწორად ჩატარება დაწესებულ ვადებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 2 მარტი, № 75.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 2 მარტის № 75 დადგენილებით

ნუსხა

თანამდებობებისა, რომლებშიც ტარდება საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაცია

1. საწარმო-ორგანიზაციები, რომლებშიც ტარდება ატესტაცია: საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი; აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროთა ცენტრალური აპარატები და ამ სამინისტროთა საქვეუწყებო შესაბამისი საწარმო-ორგანიზაციები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების მმართველობის აპარატი და ამ განყოფილების საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციები; ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, ჭიათურის, გორის, ზუგდიდის საქალაქო საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის განყოფილებათა მმართველობის აპარატები და ამ განყოფილებათა საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციები; თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური გაერთიანების აპარატი და მისი საქვეუწყებო შესაბამისი საწარმო-ორგანიზაციები, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს აპარატი და მისი საქვეუწყებო შესაბამისი ორგანიზაციები; თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს აპარატი და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციები; თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველოს აპარატი; თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო-სამშენებლო ტრესტის აპარატი; თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის „თბილქალაქმომარაგებაგასაღების“ სამმართველოს აპარატი , თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს აპარატი; ტრესტ „თბილქალაქხეტყედამზადების“, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის‘, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ძველი სახლების რესტავრაციის სამმართველოს აპარატები; სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების კომუნალურ საწარმოთა ყველა კომბინატის აპარატები და მათი საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციები; „საქკომუნრემმშენის“ № 1 და 2 ტრესტების აპარატები და მათი საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციები; ტრესტ „საქკომუნსპეცმშენის“ აპარატი და მისი საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციები; რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანებების „საქწყალკანალის“, „საქ-

თბოკომუნენერგოს“ აპარატები და მათი საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციები; სასოფლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის რესპუბლიკური სამეურნეობათაშორისო გაერთიანების აპარატი და მისი საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციები; საბინაო მეურნეობის გაერთიანების აპარატი, ავეჯის მოწყობისა და რემონტის რესპუბლიკური საწარმოო უბნის აპარატი; ლიფტების ექსპლუატაციისა და რემონტის რესპუბლიკური სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს აპარატი; რესპუბლიკური სპეციალიზებული საპროექტო კანტორის „საქბინრემპროექტის“ აპარატი; ენერგეტიკისა და ტრანსპორტის, ტექაღრიცხვისა და ინვენტარიზაციის, საკონტროლო-სარევიზიო, სასტუმრო მეურნეობის სამმართველოთა, მატერიალური ბალანსების, მომარაგებისა და კომპლექტაციის სამმართველოს აპარატები და მათი საქვეუწყებო საწარმო-ორგანიზაციები; კაპიტალური მშენებლობის განყოფილება; ელექტროქსელების საწარმო „საქგანათება“; ზომამცირე გემების სახელმწიფო ინსპექციის აპარატი; შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აპარატი; სამეცნერო-ტექნიკური საბჭო.

2. თანამდებობანი:

— საწარმო-ორგანიზაციათა მმართველები, დირექტორები, განყოფილებათა გამგეები, უფროსები; მმართველთა, დირექტორთა, უფროსთა მოადგილეები (ყველა საკითხში);

— განყოფილებათა, სამმართველოთა, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების უბანთა, სახლთმმართველობათა, ენერგომეურნეობათა ცვლების, მოძრაობის, დეპოთა, ქვესადგურთა, სახელოსნოთა, ლაბორატორიათა, წარმოებათა, საამქროთა უფროსები;

— მთავარი (უფროსი — მთავარის უფლებებით) ინჟინრები, მთავარ ინჟინერთა მოადგილეები, მთავარი (უფროსი) არქიტექტორები, მთავარი (უფროსი) მექანიკოსები, წამყვანი (მთავარი) კონსტრუქტორები ,კონსტრუქტორები, უფროსი ტექნოლოგები, ტექნოლოგები, მთავარი ენერგეტიკოსები, ენერგეტიკოსები, წამყვანი, მთავარი (უფროსი) ეკონომისტები, ეკონომისტები, მთავარი (უფროსი) ბუღალტრები, ბუღალტრები, მთავარ ბუღალტერთა მოადგილეები; უფროსი საქონელმცოდნეები, საქონელმცოდნეები, უფროსი ბუღალტერ-რევიზორები, ბუღალტერ-რევიზორები, რევიზორები, ბუღალტერ-მეთოდისტები, ბუღალტერ-ინვენტარიზატორები, უფროსი იურისკონსულტები, იურისკონსულტები, კადრების უფროსი ინსპექტორები, ინსპექტორები.

ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები: მთავარი (უფროსი) სპეციალისტები, სპეციალისტები, ყველა სპეციალობის სპეციალისტები, ყველა სპეციალობის წამყვანი (უფროსი) ინსპექტორები, ინსპექტორები, უფროსი მნორმავები (მნორმავები), უფროსი ფინანსისტები (ფინანსისტები), უფროსი ტექნიკოსები, ტექნიკოსები (ყველა სპეციალობისა), უფროსი ლაბორანტები, ლაბორანტები, უფროსი ოსტატები (ოსტატები), უფროსი სამუშაოთა მწარმოებლები (სამუშაოთა მწარმოებლები), უფროსი აგრონომები, აგრონომები, მექანიკოსები.

ბაზების, საწყობების, არქივების, ლაბორატორიების, კანცელარიების გამგეები, კოლეგიათა მდივნები, ტექზედამხედველები, უფროსი ადმინისტ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რატორები, ადმინისტრატორები, არქივარიუსები, პირგადამღებ[illegible] ᲣᲤᲠᲝᲡᲗᲐ
დისპეტჩერები (დისპეტჩერები), მორიგე ადმინისტრატორები.

სამშენებლო, სარემონტო და სხვა საწარმოო და დამხმარე ბრიგადათა ბრიგადირები.

შენიშვნა: საწარმო-ორგანიზაციების უფროსთა, დირექტორთა, მმართველთა, გამგეთა, მთავარ სპეციალისტთა (მთავარის უფლებებით უფროს სპეციალისტთა), სხვა მუშაკთა თანამდებობებზე მომუშავე იმ ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების ატესტაციას, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ ზემდგომი ორგანოები, ატარებენ ზემდგომი ორგანოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 29 სექტემბრის № 576 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 2 მარტი, № 78.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 2 მარტის № 78 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი (საქსპორტსახკომი) არის სახელმწიფო მმართველობის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო, რომელიც ახორციელებს ხელმძღვანელობას ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი რესპუბლიკაში და კონტროლს ამ დარგში.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი პასუხს აგებს რესპუბლიკის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციისა და სრულყოფისათვის, სპორტსმენთა მომზადებისათვის და უზრუნველყოფს ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებას მისთვის მინდობილ მართვის ამ სფეროში.

2. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანებია:

— ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლის ამაღლება პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების, შრომისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის ახალგაზრდობის მომზადების, საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცების, მათი ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირებისა და აქტიური დასვენების ორგანიზაციის საქმეში;

— მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის. აგრეთვე სპორტსმენთა მომზადების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავება და დანერგვა პრაქტიკაში;

— რესპუბლიკურ სპორტულ შეჯიბრებათა და შეკრებათა ჩატარება;

— ფიზკულტურული კადრების მომზადებისა და განაწილების უზრუნველყოფა;

— სპორტულ ღონისძიებათა გეგმების კოორდინაცია და მათი განხორციელებისათვის სამინისტროთა, უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახსრების კოოპერირება;

— სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის წარმოება და განაწილება, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლუატაცია;

— ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა განხორციელების ორგანიზაცია;

— ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ მოწინავე ცოდნის პროპაგანდა და გავრცელება;

— ფიზიკური კულტურისა და სპორტის ორგანიზაციების მიერ მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების განვითარება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საერთაშორისო სპორტული კავშირურთიერთობის განხორციელება დადგენილი წესით.

3. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს ხელმძღვანელობას ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისადმი, როგორც წესი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების მეშვეობით და განაგებს გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, სასწავლებლებსა და სხვა დაწესებულებებს რესპუბლიკაში.

კომიტეტის საქმიანობა რესპუბლიკაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის განვითარებისათვის ხორციელდება პროფკავშირების, კომკავშირის, საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით.

4. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები, აგრეთვე მათი საქვეუწყებო გაერთიანებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ქმნიან საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ერთიან სისტემას.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები ექვემდებარებიან შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების დებულებანი მტკიცდება კანონით დადგენილი წესით.

5. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ კანონებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებით, ბრძანებებით, ინსტრუქციებით, ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას კომიტეტის სისტემის გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი განაზოგადებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას რესპუბლიკაში, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფის შესახებ და წარუდგენს დადგენილი წესით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს, იღებს ზომებს კომიტეტის სისტემის დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საწარმოებში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

6. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

— შეიმუშავებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, საქართველოს სსრ სამინისტროებთან, უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში შეტანილი რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს;

— ახორციელებს ორგანიზაციულ და მეთოდიკურ ხელმძღვანელობას რესპუბლიკის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტსმენთა მომზადებისადმი;

— უზრუნველყოფს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა განვითარებას, კოორდინაციას უწევს ამ მუშაობის განხორციელებას, ნერგავს მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგებს პრაქტიკაში;

— განსაზღვრავს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებას ფიზიკური კულტურისა და სპორტის ორგანიზაციების მიერ გასაწევ მომსახურებაზე, შეიმუშავებს ამ მომსახურებით რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფის მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმატივებს, ნერგავს მომსახურების ახალ სახეობებს;

— შეიმუშავებს საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად და ამტკიცებს რესპუბლიკის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის პროგრამას, ახორციელებს კონტროლს მისი შესრულებისადმი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახორციელებს კონტროლს სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მიერ სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შემუშავებული მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის პროგრამების შესრულებისადმი;

— მონაწილეობს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მიერ რესპუბლიკის რეგიონებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების პერსპექტიული გეგმების შემუშავებაში;

— ამტკიცებს რესპუბლიკურ სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარულ გეგმას და უზრუნველყოფს დადგენილი წესით რესპუბლიკის სპორტსმენთა და გუნდების მონაწილეობას საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში;

— კონტროლს უწევს მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებათა განხორციელებას, აწყობს რესპუბლიკურ სპორტულ შეჯიბრებებსა და შეკრებებს, უზრუნველყოფს დადგენილი წესით საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებათა ჩატარებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ახდენს სამინისტროთა, უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახსრების კოოპერირებას რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა განსახორციელებლად;

— ამტკიცებს სპორტის ეროვნულ სახეობებში სპორტულ შეჯიბრებათა ჩატარების წესებს, შეიმუშავებს ნორმატივებს, სპორტულ კლასიფიკაციასა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებს სპორტის ეროვნულ სახეობებში;

— ახორციელებს საქართველოს სსრ სპორტსმენთა და ნაკრები გუნდების მომზადებას და უზრუნველყოფს მათს მონაწილეობას საკავშირო შეჯიბრებებში, სსრ კავშირის ჩემპიონატებსა და პირველობებში, აგრეთვე დადგენილი წესით ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატებში, თასების გათამაშებასა და პირველობებში, ოლიმპიურ ასპარეზობებში, სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში, დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ეწევა მუშაობას სპორტული რეზერვების მომზადებისათვის; კოორდინაციას უწევს სპორტული სკოლებისა და ოლიმპიური მომზადების საუწყებათაშორისო ცენტრების ქსელის განვითარებას, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა, აკონტროლებს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციას აღნიშნულ სკოლებსა და ცენტრებში;

— აწყობს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას, უზრუნველყოფს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას;

— ახორციელებს კომკავშირულ, პროფკავშირულ და სხვა ორგანიზაციებთან ერთად იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას ფიზიკური კულტურითა და სპორტით დასაქმებულ პირთა შორის;

— ამტკიცებს რესპუბლიკურ რეკორდებს სპორტის სახეობათა მიხედვით, წარუდგენს დადგენილი წესით სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და

სპორტის სახელმწიფო კომიტეტს შესაბამის დოკუმენტაციას ქართველ სპორტსმენთა მსოფლიო, ევროპისა და საკავშირო რეკორდების დასამტკიცებლად;

— დადგენილი წესით ანიჭებს რესპუბლიკურ სპორტულ წოდებებს, აჯილდოებს სპორტული მედლებით, ნიშნებით, დიპლომებით, პრიზებით, სიგელებით რესპუბლიკურ შეჯიბრებათა გამარჯვებულებს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებს, ფიზკულტურის აქტივისტებს, სპორტულ კლუბებსა და ორგანიზაციებს, ფიზკულტურის კოლექტივებს;

— სწავლობს რესპუბლიკის მოსახლეობის, ფიზკულტურული და სხვა ორგანიზაციების მოთხოვნილებას სპორტული დანიშნულების ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, ინვენტარსა და მოწყობილობაზე, უზრუნველყოფს ამ პროდუქციის წარმოებას საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საწარმოებში და მონაწილეობს საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა საწარმოებსა და ორგანიზაციებში მისი წარმოების გეგმების კოორდინაციაში;

— ანაწილებს სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოყოფილ სპორტული დანიშნულების ინვენტარის, მოწყობილობის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის არასაბაზრო ფონდებს მომხმარებელთა შორის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა;

— უზრუნველყოფს თავისი კომპეტენციის ფარგლებში რესპუბლიკაში ერთიანი პოლიტიკის განხორციელებას გამოსაშვები სპორტული და ტურისტული საქონლის წარმოების, ასორტიმენტის გაფართოებისა და განახლების, ხარისხის ამაღლების საქმეში;

— მონაწილეობს ყველა გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციისათვის (მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა) სავალდებულო ტექნიკური პირობების დამტკიცებაში საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისათვის განკუთვნილი ნომენკლატურის სპორტულ ნაწარმსა და მოწყობილობაზე, აგრეთვე სერიულ წარმოებაში დანერგვისათვის ამ პროდუქციის ნიმუშებსა და ეტალონებზე;

— კონტროლს უწევს გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ (მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა) სპორტული ნაგებობების, მატერიალური საშუალებებისა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის გამოყოფილი სხვა რესურსების ეფექტიანად გამოყენებას;

— ახორციელებს საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საწარმოთა და სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას, ექსპლუატაციას და კონტროლს მათი გამოყენების ეფექტიანობისადმი;

— ატარებს დადგენილი წესით სპორტულ ლატარიებს;

— სწავლობს რესპუბლიკის მოთხოვნილებას ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტებზე, უზრუნველყოფს მათს მომზადებას საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში, ანაწილებს დადგენილი წესით ფიზკულტურის კადრებს;

— ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს დადგენილი წესით, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

— ეწევა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მოწინავე ცოდნის პროპაგანდას, უზრუნველყოფს დადგენილი წესით რესპუბლიკაში ჟურნალ-გაზეთების, სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდიკური ლიტერატურის გამოცემას ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე, მონაწილეობს ასეთი ლიტერატურის გამოცემის წლიური და პერსპექტიული გეგმების შემუშავებაში.

7. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსებისა და კრედიტის, კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების, საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქციების განხორციელებისას ხელმძღვანელობს ზოგადი დებულებებით.

8. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაწყვეტად და დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად უფლება ეძლევა:

— მიიღოს სამინისტროების, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ანგარიშგების ფორმებით გათვალისწინებული ცნობები კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

— დაავალოს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს დაამუშაონ ცალკეული, მათ გამგებლობაში შემავალი პრობლემები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის;

— შეამოწმოს სამინისტროთა, უწყებათა, აგრეთვე გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა (მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა) მუშაობა კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე და მოისმინოს კომიტეტის კოლეგიის სხდომებზე მათ წარმომადგენელთა ინფორმაციები აღნიშნულ საკითხებზე;

— მიიზიდოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აქტუალური საკითხების დასამუშავებლად, შემოწმებებში მონაწილეობის მისაღებად და კონსულტაციებისათვის რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა, აგრეთვე გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სპეციალისტები და მეცნიერები მათ ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.

9. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და შემდგომ წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებს ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე:

— პერსონალურად აგებს პასუხს კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და მისი ფუნქციების განხორციელებისათვის;

— ანაწილებს მოვალეობებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა შორის და კოორდინაციას უწევს მათს საქმიანობას;

— განსაზღვრავს საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთა და რესპუბლიკური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას კომიტეტის საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის; აგრეთვე საქვეუწყებო გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობისათვის;

— ამტკიცებს საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას სარგებლობს საქართველოს სსრ მინისტრებისათვის მინიჭებული უფლებებით.

10. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიან კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე) და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, კომიტეტის სისტემის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, აგრეთვე სამინისტროთა, უწყებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების, კომიტეტის სისტემაში მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს, ზემდგომ ორგანოებში შესატან ნორმატიული და სხვა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების პროექტებს, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებათა, ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, აგრეთვე შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, მომზადების, გამო-

ყენებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს; ისმენს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეთა, კომიტეტის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, კომიტეტის სისტემის გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებსა და ანგარიშებს, აგრეთვე განიხილავს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებს.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, კომიტეტის დადგენილებებითა და ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

11. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი გამოსცემს ბრძანებებს, დადგენილებებსა და ინსტრუქციებს, იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად კომიტეტის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების, აგრეთვე საქვეუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი გამოსცემს დადგენილებებს, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს დადგენილებებს, ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სხვა სამინისტროებთან, უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ან შეთანხმებით.

12. კომიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა მიხედვით საკითხებისა და წინადადებების განსახილველად და ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დარგთაშორისი მართვის პრობლემებზე რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტში საჭიროების შემთხვევაში იქმნება საუწყებათაშორისო კომისიები, საბჭოები და საექსპერტო ჯგუფები მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

13. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

14. საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

13 „საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის სისტემის მართვის ორგანოების სტრუქტურის, მუშაკთა რაოდენობისა და ფრონტის ანაზღაურების პირობების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 851 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების თაობაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 11 თებერვლის № 108 დადგენილებით შეიქმნა რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო გაერთიანება „საქაგრომშენი“, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 851 დადგენილება არ ითვალისწინებს საკავშირო-რესპუბლიკურ საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანებას „საქსოფქიმიას“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეტანილ იქნეს რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო გაერთიანება „საქაგრომშენი“ და საკავშირო-რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფქიმია“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 851 დადგენილების № 2 დანართში აღნიშნული საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ორგანიზაციების ნუსხაში.

2. გაუთანაბრდეს საკავშირო-რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფქიმიის“ თავმჯდომარე მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების პირობების მიხედვით საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მთავარ დარგობრივ სამმართველოთა უფროსებს და გავრცელდეს მასზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 851 დადგენილების მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათები.

3. გაუთანაბრდნენ რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო გაერთიანება „საქაგრომშენისა“ და საკავშირო-რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფქიმიის“ თავმჯდომარეთა მოადგილეები მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების პირობების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრის მოადგილეებს.

4. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 30 დეკემბრის № 851 დადგენილების მე-9 პუნქტის პირველ აბზაცში გათვალისწინებულ თანამდებობათა ნუსხაში იმ მთავარი სამმართველოების უფროსთა მოადგილეებთან ერთად, რომლებსაც სათავეში უდგანან საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილეები, და აღნიშნული კომიტეტის კვების მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეებთან ერთად რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული სამშენებლო გაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანება „საქაგრომშენისა“ და საკავშირო-რესპუბლიკური საწარმოთა ერთიანი ნიერო გაერთიანება „საქსოფქიმიის“ თავმჯდომარეთა მოადგილეები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 2 მარტი, № 82.

14 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ნორმირების სრულყოფისა და ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემის შექმნის შესახებ

რესპუბლიკაში ნორმირებისათვის მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და სისტემატიზაციის, ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით და „1986-1990 წლებსა და 2000 წლამდე პერიოდში ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენების ძირეული გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 19 აგვისტოს № 572 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს შეიქმნას საქართველოს სსრ ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემა, რომელიც გააერთიანებს ნორმირების სამსახურებს რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, საწარმოო გაერთიანებებში, სამინისტროებში, უწყებებში და უზრუნველყოფს სამეურნეო საქმიანობის ყველა დონეზე პროგრესული ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებასა და დანერგვას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა საფუძველზე.

დაწესდეს, რომ ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემა მოქმედებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საერთო ორგანიზაციული და მეთოდიკური ხელმძღვანელობით.

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემის შესახებ.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს სამეურნეო საქმიანობის ყველა დონეზე მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების ნორმატიული ბაზის ფორმირებისას პროგრესუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებლის მეთოდიკური ხელმძღვანელობის მთავარი ორგანიზაციის ფუნქციები.

3. ნორმებისა და ნორმატივების რესპუბლიკური მანქანური ფონდის შექმნის მთავარი ორგანიზაციის ფუნქციები დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლით ცენტრს.

4. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან არსებულმა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის რესპუბლიკურმა საუწყებათაშორისო საკოორდინაციო სამმართველომ გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ სამმართველოსთან შეიქმნას სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომის ნორმატივების ცენტრალური ბიუროს ჯგუფი (ფილიალი) რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში შრომის ნორმირების მეთოდიკური ხელმძღვანელობისათვის 6 კაცის რაოდენობით.

5. დაევალოთ № 1 დანართში ჩამოთვლილ სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტების ეკონომიკურად დასაბუთებული პროგრესული და ნორმატიული ბაზის ფორმირება, ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური ორგანიზაციები.

6. დამტკიცდეს შესაბამის უწყებაში დაგეგმვის ნორმატიული ბაზის შემუშავებისადმი მეთოდიკური ხელმძღვნელობის საბაზო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციების ნუსხა, № 2 დანართის თანახმად.

7. სამინისტროებმა და უწყებებმა განამტკიცონ, ხოლო იქ, სადაც არ არის, შექმნან ცენტრალურ აპარატში საგეგმო-ეკონომიკურ სამმართველოთა და საუწყებო სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა შემადგენლობაში ნორმირების სამსახურები მათთვის დაწესებული მუშაკთა რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

8. შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნორმატიული მეურნეობის მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციის განყოფილებაში:

— ნედლეულის, მასალების, სათბობის, თბოენერგიისა და ელექტროენერგიის ნორმირების მეთოდოლოგიის სექტორი;

— მოწყობილობის, კაბელის ნაკეთობათა, კაპიტალური მშენებლობისა და საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ნორმირების მეთოდოლოგიის სექტორი;

— საფინანსო ნორმებისა და ნორმატივების შემუშავების მეთოდოლოგიის სექტორი;

— სოციალურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების შემუშავების მეთოდოლოგიის სექტორი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითმა

ინსტიტუტმა წარუდგინოს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს დასაბუთებული განაცხადი რესპუბლიკაში პროგრესული ნორმებისა და ნორმატივების შემუშავების მეთოდიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული დამატებითი თემის შესასრულებლად.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა შეიტანოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ წარდგენილი დამატებითი თემა კრებსით განაცხადში და კონტროლი გაუწიოს მის განხილვას სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტში.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა:

— მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რათა განუხრელად დაიცვან ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და ხანგრძლივი სახელმწიფო გეგმების პროექტების ნორმატიული ბაზის ფორმირების წესი, რაც გათვალისწინებულია ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემის დებულებით;

— სისტემატურად განახორციელონ მუშაობა მოქმედი ნორმებისა და ნორმატივების გადასასინჯად რესურსების ხარჯვისა და ეკონომიის ნორმების შემცირებისათვის დაწესებულ დავალებათა გათვალისწინებით;

— წარმართონ ნორმირების სამსახურების მუშაობა მატერიალური რესურსებით წარმოების ზრდის უზრუნველსაყოფად ძირითადად ხარჯვის ნორმების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიის გზით.

პასუხისმგებლობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების პროექტების ნორმატიული ბაზის ფორმირების წესის დაცვისათვის, რაც გათვალისწინებულია ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემის დებულებით, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში ნორმებისა და ნორმატივების დროულად და ხარისხიანად შემუშავებისათვის დაეკისროს შესაბამისი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელის ერთ-ერთ მოადგილეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 10 მარტი, № 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 10 მარტის № 112
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემა იქმნება „1986-1990 წლებსა და 2000 წლამდე პერიოდში ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენების ძირეული გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 19 აგვისტოს № 572 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკაში სამუშაოთა სახეობებისა და შრომის, ნედლეულის, მასალებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, ფინანსური სახსრების დანახარჯების პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის, საწარმოო სიმძლავრეთა და ხვედრით კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ნორმატივების, მოწყობილობასა და კაბელის ნაკეთობებზე მოთხოვნილების განსაზღვრის ნორმებისა და ნორმატივების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მარაგის ნორმატივების და სოციალურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების დანერგვის მიზნით.

2. საქართველოს სსრ ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემა — ეს არის რესპუბლიკის საწარმოებსა და საწარმოო გაერთიანებებში, სამინისტროებში, უწყებებში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-ტექნოლოგიურ ორგანიზაციებში ნორმირების სამსახურების ერთობლიობა, რომლებიც ასრულებენ სამეცნიერო-მეთოდიკურ და სამეცნიერო-პრაქტიკულ სამუშაოებს ნორმირების დარგში.

3. საქართველოს სსრ ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემა უზრუნველყოფს პროგრესული ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებას და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკაში დანერგვას შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

— წლიური, ხუთწლიანი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავებისას გამოყენებული ნორმებისა და ნორმატივების ფორმირების მეთოდიკური ერთიანობის უზრუნველყოფა დაგეგმვის დონეთა მიხედვით;

— ნორმებისა და ნორმატივების პროგრესულობის უზრუნველყოფა მათში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმილი მიღწევების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების მაქსიმალური ასახვის საფუძველზე და ამ ნორმებისა და ნორმატივების გამოყენება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის საშუალებად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნორმატიული ბაზის კომპლექსური ფორმირება გეგმების — ყველა განაყოფისათვის (წარმოება, მატერიალური ბალანსები და განაწილების გეგმები, შრომა და კადრები, კაპიტალური დაბანდებანი და სხვა რეზერვები);

— ნორმებისა და ნორმატივების სისტემატური განახლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფაქტორების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების ასახვის საფუძველზე;

— დაგეგმვის სხვადასხვა დონეზე ფორმირებული ნორმებისა და ნორმატივების შეპირისპირების უზრუნველყოფა აგრეგირებისა და დეზაგრეგირების გზით, აგრეთვე მათი ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა;

— ნორმირების და სისტემაში ნორმებისა და ნორმატივების გამოყენების ავტომატიზაცია ნორმებისა და ნორმატივების შეკრების, დაგროვებისა და დასაბუთების ავტომატიზებული სისტემის, როგორც საგეგმო გაანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემის, დაგეგმვისა და მართვის დარგობრივი ავტომატიზებული სისტემების და გაერთიანებათა და საწარმოთა მართვის ავტომატიზებული სისტემების განუყოფელი შემადგენელი ნაწილის, საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს ნორმატიული ბაზის ერთიანობას.

4. ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემა უზრუნველყოფს ნორმატიული ბაზის მომზადებას ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შემუშავების დაწყებამდე. ამის შესაბამისად ნორმებსა და ნორმატივებს წარუდგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახმომარაგებას (რესურსების შესაბამისი ნომენკლატურის მიხედვით) რესპუბლიკის საბაზო სამინისტროები და უწყებები შემდეგ ვადებში:

ა) საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმების პროექტებისათვის — მორიგ ხუთწლედამდე 15 თვით ადრე;

ბ) საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური გეგმებისათვის — დასაგეგმი წლის დაწყებამდე ერთი წლით ადრე.

საწარმოებსა და საწარმოო გაერთიანებებში ნორმატიული ბაზის ფორმირების ვადებს განსაზღვრავენ შესაბამისი სამინისტროები და უწყებები.

5. ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემა უზრუნველყოფს ნორმებისა და ნორმატივების შემდეგი ძირითადი ჯგუფების ფორმირებას:

ა) საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ნორმატივები;

ბ) შრომის დანახარჯებისა და ხელფასის ნორმები და ნორმატივები;

გ) ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის ხარჯვისა და მარაგის ნორმები და ნორმატივები;

დ) საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ნორმები და ნორმატივები და საპროექტო სიმძლავრეთა ათვისების ხანგრძლივობის ნორმები;

ე) კაპიტალურ დაბანდებათა და კაპიტალური მშენებლობის ნორმატივები;

ვ) მოწყობილობის, კაბელის ნაკეთობათა მოთხოვნილებისა და მარაგის ნორმები და ნორმატივები და მოწყობილობის გამოყენების მაჩვენებლები;

ზ) საფინანსო ნორმები და ნორმატივები;

თ) წარმოების ფულადი (კომპლექსური) დანახარჯების ნორმები (მომსახურება, ანარიცხები მიზნობრივი ღონისძიებებისათვის და ა. შ.);

ი) სოციალურ-ეკონომიკური ნორმები და ნორმატივები;

კ) გარემოს დაცვის ნორმები და ნორმატივები.

ნორმებისა და ნორმატივების ზემოაღნიშნულ ძირითად ჯგუფებთან ერთად სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა შეიმუშაონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციფიკის ამსახველი ნორმები და ნორმატივები. ეს ნორმები და ნორმატივები წარედგინებათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახმომარაგებას მათი მოთხოვნით.

6. ნორმატიული ნორმების ერთიან სისტემაში მუშაობა ნორმირების სრულყოფისათვის უნდა მიმდინარეობდეს ხუთწლიანი კომპლექსური გეგმების თანახმად, რომელთაც ადგენს და შესრულებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

ნორმებისა და ნორმატივების ფორმირება უნდა მოხდეს ეკონომიკურ და საინჟინრო გაანგარიშებათა საფუძველზე, ამასთან დაშვებული არ უნდა იქნეს მათი განსაზღვრა მხოლოდ არსებული დინამიკის გათვალისწინებით.

ნორმებისა და ნორმატივების გაანგარიშების მეთოდები განისაზღვრება დადგენილი წესით შემუშავებული და დამტკიცებული მეთოდიკური დოკუმენტაციით.

II. საქართველოს სსრ ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა

7. საქართველოს სსრ ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემის სტრუქტურა აგებულია იერარქიული პრინციპით და მთლიანად შეესაბამება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ორგანოთა სტრუქტურას. იგი წარმოდგენილია იერარქიის ყველა საფეხურზე ნორმირების შესაბამისი სამსახურებით.

8. საქართველოს სსრ ნორმატიული მეურნეობის ერთიან სისტემაში შედიან ნორმირების სამსახურები:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა;

ბ) საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისა;

გ) საწარმოო გაერთიანებებისა, საწარმოებისა და ორგანიზაციებისა.

9. საქართველოს სსრ ნორმატიული მეურნეობის ერთიან სისტემაში შედიან აგრეთვე:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობის მთავარი ორგანიზაცია);

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრი (ნორმებისა და ნორმატივების რესპუბლიკური მანქანური ფონდის შექმნის მთავარი ორგანიზაცია);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შრომის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი (შრომის დანახარჯების და ხელფასის ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობის წამყვანი ორგანიზაცია);

დ) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გამოთვლითი ცენტრი (საფინანსო ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობის წამყვანი ორგანიზაცია);

ე) ინსტიტუტი „საქსახპროექტი" (კაპიტალურ მშენებლობაში ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობის წამყვანი ორგანიზაცია);

ვ) საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვისა და მარაგის ნორმებისა და ნორმატივების შემუშავების წამყვანი ორგანიზაცია).

III. საქართველოს სსრ ნორმატიული მეურნეობის ერთიანი სისტემის ნორმირების სამსახურების ფუნქციები

10. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ნორმირების სამსახურების ძირითადი ფუნქციები:

ა) გეგმების შემუშავება და სამუშაოთა კოორდინაცია ნორმირების სრულყოფისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკაში პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების სისტემის დანერგვისათვის;

ბ) აღნიშნული სისტემის დანერგვის მეთოდიკური და საინსტრუქციო მასალების განხილვა, დამტკიცება და დაგზავნა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის;

გ) ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ენერგიის ეკონომიის დიფერენცირებულ დავალებათა დაგზავნა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისათვის;

დ) სამინისტროებისა და უწყებების მიერ წარდგენილი ნორმებისა და ნორმატივების განხილვა, მათი პროგრესულობისა და რესურსების ეფექტიანი გამოყენების დავალებებთან შესაბამისობის შეფასება;

ე) საშუალოდ გაანგარიშებული ჯგუფური რესპუბლიკური ნორმებისა და ნორმატივების შემუშავება და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში შესათანხმებლად მათი წარდგენა;

ვ) მატერიალური რესურსების ეკონომიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კრებსითი რესპუბლიკური გეგმის, ხარჯვის ნორმების საშუალო შემცირების მაჩვენებელთა კრებსითი უწყისების, პროდუქციისა და სამუშაოების სახეობათა მიხედვით მატერიალური რესურსების ეკონომიის გაანგარიშებათა, ხარჯვის ნორმების საშუალო შემცირებისა და საერთო ეკონომიის გაანგარიშებათა შემუშავება და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში დასამტკიცებლად მათი წარდგენა;

ზ) კონტროლი დამტკიცებული ნორმებისა და ნორმატივებისა მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების მაჩვენებლებისა და დაწესებული ხვედრითი ხარჯების, აგრეთვე მათი ეკონომიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვის გეგმების შესრულებისადმი;

თ) მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი. რესპუბლიკის მატერიალური რესურსების დაგეგმვისა და გამოყენების ნორმატიული ბაზის შეფასება.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში პროგრესული ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და ნორმატივების დანერგვისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობის მთავარი ინსტიტუტის ძირითადი ფუნქციები:

ა) მეთოდიკური ხელმძღვანელობა სისტემაში შეტანილი და გეგმების შემუშავებისას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ გამოსაყენებელი ნორმებისა და ნორმატივების შექმნისა და სრულყოფისადმი, აგრეთვე ნორმებისა და ნორმატივების ავტომატიზებული სისტემის შემუშავებისადმი;

ბ) წამყვანი საუწყებო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია ნორმირების დარგში;

გ) საქართველოს სსრ საბაზო სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშავებული გამსხვილებული ნორმებისა და ნორმატივების ექსპერტიზის ჩატარება და უმნიშვნელოვანესი ინდივიდუალური ნორმებისა და ნორმატივების მეცნიერული დასაბუთებულობის შერჩევითი ანალიზი;

დ) რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების მიმართულებათა მიხედვით რეკომენდაციებისა და მათი ეკონომიის თაობაზე წინადადებების მომზადება.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის — ნორმებისა და ნორმატივების რესპუბლიკური მანქანური ფონდის შექმნის მთავარი ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციები:

ა) მეთოდიკური ხელმძღვანელობა ნორმებისა და ნორმატივების შეკრების, დაგროვებისა და განახლების ავტომატიზაციისათვის ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების გამოყენებისადმი და სამუშაოთა კოორდინაცია საქართველოს სსრ მართვის გაერთიანებულ ავტომატიზებულ სისტემებში ნორმატიული ქვესისტემების შექმნისათვის;

ბ) ნორმატიული ინფორმაციის შეყვანა ელექტრონულ-გამოთვლით მანქანებში, ნორმებისა და ნორმატივების შემოსვლის აღრიცხვა და არსებობა, ნორმებისა და ნორმატივების ფონდის ფორმირება და წარმოება ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე;

შენიშვნა: ცალკეულ სახეობათა ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობის წამყვანი ორგანიზაციები ასრულებენ იმავე ფუნქციებს შესაბამისი სახეობის ნორმებისა და ნორმატივების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ნორმებისა და ნორმატივების განახლების ორგანიზაცია ეკონომიკურ-გამოთვლითი მანქანების გამოყენებით, გაანგარიშებათა შესრულება და შესაბამისი დოკუმენტების მომზადება.

13. საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ნორმირების სამსახურების ძირითადი ფუნქციები:

ა) საქვეუწყებო საწარმოებსა და გაერთიანებებში ნორმირების სამუშაოთა ხელმძღვანელობა და კოორდინაცია, მთლიანად სამინისტროს ხაზით პროგრესული ნორმებისა და ნორმატივების სისტემის დანერგვისა და სრულყოფის გეგმების შემუშავება;

ბ) რესურსების ეკონომიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების შემუშავება, მათი შეთანხმება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და კონტროლი მათი შესრულებისადმი;

გ) საქვეუწყებო საწარმოებისა და გაერთიანებების მიერ წარდგენილი ნორმებისა და ნორმატივების განხილვა და დამტკიცება;

დ) ნორმებისა და ნორმატივების შემუშავება, მათი წარდგენა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში განსახილველად და შესათანხმებლად;

ე) ნორმების საშუალო შემცირების დავალებათა დიფერენციაცია, მათი დაგზავნა საქვეუწყებო საწარმოებისა და გაერთიანებებისათვის და კონტროლი მათი შესრულებისადმი;

ვ) ნორმებისა და ნორმატივების დაცვისადმი სისტემატური კონტროლის ორგანიზაცია და საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში რესურსების გამოყენების ანალიზი;

ზ) დაგეგმვის ნორმატიული ბაზის ფორმირებაში გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა დანერგვის ორგანიზაცია.

14. საბაზო სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა ძირითადი ფუნქციები:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინტიტუტთან ერთად მონაწილეობა ნორმირების რესპუბლიკური მეთოდიკური დოკუმენტების შემუშავებაში და მეთოდიკური ხელმძღვანელობა შესაბამის უწყებაში დაგეგმვის ნორმატიული ბაზის შემუშავებისადმი;

ბ) მონაწილეობა საშუალოდ გაანგარიშებული საუწყებო ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებაში, შესაბამისი უწყების საწარმოთა დაგეგმვის ნორმატიული ბაზის შემუშავება;

გ) უმნიშვნელოვანესი ინდივიდუალური ნორმებისა და ნორმატივების ექსპერტიზა, მონაწილეობა შესაბამის უწყებაში რესურსების გამოყენების ანალიზის განხორციელებაში;

დ) სამინისტროში (უწყებაში) ნორმებისა და ნორმატივების შეკრების, დაგროვებისა და განახლების ავტომატიზებული სისტემის შემუშავება და დანერგვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. საწარმოო გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ნორმირების სამსახურების ძირითადი ფუნქციები:

ა) ახალი პროდუქციის ტექნიკურად დასაბუთებული დეტალობრივ-სპეციფიცირებული, ოპერაციობრივი და კრებსითი ნორმების შემუშავების და გამოსაშვები პროდუქციის მოქმედი ნორმატიული მაჩვენებლების სისტემატური გადასინჯვის ორგანიზაცია*);

ბ) ნორმებისა და ნორმატივების წარდგენა დასამტკიცებლად სამინისტროში (უწყებაში), კონტროლი დაწესებული ნორმებისა და ნორმატივების დანერგვისა და დაცვისადმი;

გ) რესურსების ეკონომიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების შემუშავება და კონტროლი მათი შესრულებისადმი;

დ) ნორმირების სრულყოფის კომპლექსური გეგმების შემუშავება, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა დანერგვა ნორმატიული ბაზის ფორმირებაში.

---

*) წვრილი საწარმოებისათვის ნორმატიულ ბაზას შეიმუშავებს წამყვანი საუწყებო სამეცნიერო-კვლევითი ან საპროექტო ტექნოლოგიური ორგანიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 10 მარტის № 112 დადგენილებით (დანართი № 1)

ნუსხა

საქართველოს სს რესპუბლიკაში დაგეგმვის ნორმატიული ბაზის ფორმირების საბაზო სამინისტროებისა და უწყებებისა

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი

ცეკავშირი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებათა სამმართველო

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენი“

საქართველოს ყრუთა საზოგადოება

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 10 მარტის № 112 დადგენილებით (დანართი № 2)

ნუსხა

საბაზო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური ორგანიზაციებისა

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოო ტექნიკური გაერთიანება „ავტოტრანსტექნიკის“ სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიურო

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო საგზაო სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი „საქყოფსახპროექტი“

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუტი „საქბინრემპროექტი“

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო კანტორა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საპროექტო-ტექნიკური საკონსტრუქტორო ბიურო

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს რადიოფიკაციის რესპუბლიკური კვანძის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნიკური ბიურო

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სახელმწიფო საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი „საქვაჭრობსახპროექტი“

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო „საქსპორტპროექტი“

ცეკავშირის სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნიკური ბიურო

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო კანტორა

ინსტიტუტი „საქსახპროექტი“

ინსტიტუტი „საქქალაქმშენსახპროექტი“

ინსტიტუტი „საქკომუნმშენსახპროექტი“

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო

ინსტიტუტი „საქსოფმშენსახპროექტი“

საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

15 საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს დებულებისა და ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 სექტემბრის № 487 დადგენილება საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს დებულების დამტკიცების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ჩხეიძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 26 მარტი, № 135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 26 მარტის № 135 დადგენილებით

დ ე ბ ა უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო, შედის რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში და თავის საქმიანობაში ექვემდებარება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისევე სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს.

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო ხელმძღვანელობას უწევს საელევატორო, საფქვავ, ბურღულის, პურსაცხობ, მაკარონისა და კომბინირებული საკვების მრეწველობას.

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა დადგენილი წესით სახელმწიფო პურის რესურსების გამოყენებისა და სრული დაცვა-შენახვისათვის, საელევატორო, საფქვავი, ბურღულის, პურსაცხობი, მაკარონისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფისათვის, დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და პურპროდუქტებსა და კომბინირებულ საკვებზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისათვის.

2. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

— მარცვლეულის, ზეთოვანთა თესლის, ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების, ბალახების თესლის, თივისა და ბალახის ფხვნილის შესყიდვის უზრუნველყოფა (სახელმწიფო გეგმების შესაბამისად) პურეულის მიმღები და მარცვლეულის გადამმუშავებელი საწარმოების მიერ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა საფუძველზე;

— სახელმწიფო პურის რესურსების დაგროვების, რაციონალური დაბინავებისა და შენახვის ორგანიზაცია;

— მარცვლეულისა და მისი გადამუშავების პროდუქტების სახელმწიფო რესურსების გაანგარიშებათა შემუშავება;

— დადგენილი წესით სახელმწიფო პურის რესურსების ცენტრალიზებულად გამოყენება, პურფუნთუშეულითა და მაკარონის ნაწარმით მოსახლეობის მომარაგების უზრუნველყოფა;

— სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება, სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსიპ-ლინის განუხრელი დაცვის უზრუნველყოფა;

— წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, მოქმედ საწარმოთა ტექნიკური კვლავაღჭურვის, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიურად გამოყენების, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება;

— არსებული საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის და, უწინარეს ყოვლისა, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება, საელევატორო, საფქვავი, ბურღულის, პურსაცხობი, მაკარონისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის ინტენსიური განვითარება, წარმოების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველყოფა;

— მეურნეობის გაძღოლის ეკონომიკური მეთოდებისა და სამეურნეო-ანგარიშიანი ურთიერთობის სრულყოფა, მუშაკთა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა და მათი მაქსიმალური ორიენტაცია მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად, დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ნორმატიული მეთოდების ფართოდ გამოყენება;

— კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალური გამოყენება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულებისა და ვადების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროულად ამოქმედება და ათვისება დაწესებულ ვადებში;

— შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის სრულყოფა, სამინისტროს სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის საჭირო პირობების შექმნა, ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება, რომელთაც კარგად გამოიჩინეს თავი;

— სამინისტროს სისტემის გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშათა, მოსამსახურეთა და სპეციალისტთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება, მათი შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა;

— მუშაობის მაღალი საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევისათვის სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება, წარმოების მართვაში შრომითი კოლექტივების ფართო მონაწილეობის უზრუნველყოფა.

3. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ დარგს და მართავს სისტემის გაერთიანებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო, აფხაზეთის სსრ პურპროდუქტების სამმართველო, სახელმწიფო პურის ინსპექციის სამმართველო, პურეულის მიმღები, საფქვავი, ბურღულის, პურსაცხობი, მაკარონის, საფუვრისა და კომბინირებული საკვების საწარმოები, ელევატორები და სხვა საქვეუწყებო გაერთიანებები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციების, აგრეთვე ის პურსაცხობი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც ამავე დროს ექვემდებარებიან სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, შეადგენენ საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს ერთიან სისტემას.

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს დებულებასა და ცენტრალური აპარატის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროსთან შეთანხმებით.

4. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, ამ დებულებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით, და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს სისტემის გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს სისტემაში კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფისათვის და დადგენილი წესით წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. ახორციელებს ღონისძიებებს სამინისტროს აპარატში, სამინისტროს სისტემის გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სამართლებრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად

5. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) უგზავნის საკონტროლო ციფრებს დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით სამინისტროს სისტემის გაერთიანებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მათ მიერ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტების შესამუშავებლად;

—შეიმუშავებს სამინისტროს სისტემის ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური და ხუთწლიანი გეგმების პროექტებს დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტსა და სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს;

—შეიმუშავებს და დადგენილი წესით ამტკიცებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვანეს მიმართულებათა პროგნოზებს, მეცნიერულ-ტექნიკურ და ეკონომიკურ პროგრამებს, საელევატორო, საფქვავ, ბურღულის, პურსაცხობ, მაკარონისა და კომბინირებული საკვების მრეწველობაში საპატენტო, სალიცენზიო, საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს, აგრეთვე იღებს ზომებს მათი შესრულებისათვის;

—დადგენილი წესით ახორციელებს საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან და საწარმოებთან მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის ღონისძიებებს;

—უგზავნის დაწესებული ნუსხის მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების დამტკიცებულ მაჩვენებლებს გაერთიანებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

ბ) განსაზღვრავს მოთხოვნილებას სამინისტროს სისტემის საფქვავ, ბურღულის, პურსაცხობ, მაკარონის, საფუვრისა და კომბინირებული საკვების საწარმოთა ნედლეულზე;

ამზადებს დადგენილი წესით მატერიალურ-ტექნიკური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოთხოვნილების გაანგარიშებებს და დაწესებული ნომენკლატურის კრებსით განაცხადებს;

— უზრუნველყოფს კომბინირებული საკვების მრეწველობის დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარებას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში შესაბამისი რესურსების მიწოდებას კომბინირებული საკვების გამოსამუშავებლად, აგრეთვე კომბინირებული საკვების საქვეუწყებო საწარმოებში წარმოების ორგანიზაციას რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებით გათვალისწინებული მოცულობით;

გ) ახორციელებს მარცვლეულისა და მისი გადამუშავების პროდუქტების სახელმწიფო რესურსების გაანგარიშებას, მონაწილეობს პურპროდუქტების, თივის, ბალახების თესლის გამოყენების, აგრეთვე ექსპორტის გეგმების პროექტების შემუშავებაში და კონტროლს უწევს შესაბამის დავალებათა შესრულებას;

დ) უზრუნველყოფს დადგენილი წესით მარცვლეულისა და ზეთოვანთა თესლის, ფქვილის, ბურღულის, პურფუნთუშეულისა და მაკარონის ნაწარმის, საფუვრისა და კომბინირებული საკვების, ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების, ბალახების თესლის, თივისა და ბალახის ფხვნილის რეალიზაციას;

—იღებს სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროსაგან პურპროდუქტებისა და თესლის საექსპორტოდ მიწოდების, იმპორტის ხაზით მათი მიღების დავალებებს, კონტროლს უწევს ამ დავალებათა შესრულებას;

— უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის სახელშეკრულებო ურთიერთობის განმტკიცებას, აგრეთვე საქვეუწყებო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მათ ვალდებულებათა განუხრელ შესრულებას;

ე) ამტკიცებს სახელმწიფო პურის რესურსების გაანგარიშებათა და შესაბამისი პროდუქციის განაწილების გეგმათა საფუძველზე სსრ კავშირის [illegible] პროდუქტების სამინისტროს თესლის, მარცვლეულისა და მისი გადამუშავების პროდუქტების, თივის მომხმარებელთა უზრუნველსაყოფად დადგენილი წესით გამოყოფილი კომბინირებული საკვების შემოზიდვა-გაზიდვის დავალებებს;

—უზრუნველყოფს მარცვლეულის, მისი გადამუშავების პროდუქტების ზეთოვანთა თესლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის რაციონალურ დაბინავებას სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, დადგენილი წესით საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ განაცხადების წარდგენას პურეულისა და სხვა ტვირთების გადასაზიდად, იღებს ზომებს ამ ტვირთების დროულად გადაზიდვისათვის;

ვ) მონაწილეობს პროდუქციის სტანდარტების შემუშავებაში, აგრეთვე შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად სამინისტროს სისტემის საწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციის საბითუმო ფასების პროექტებს;

ზ) მონაწილეობს მარცვლეულის, ზეთოვანთა თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის, ბალახების თესლის, თივისა და ბალახის ფხვნილის შესასყიდი ფასების თაობაზე წინადადებების, აგრეთვე მარცვლეულის, მისი გადამუშავების პროდუქტების, პურფუნთუშეულის, მაკარონის ნაწარმის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების და კომბინირებული საკვების საანგარიშსწორებო, საბითუმო, გასაცემი და საცალო ფასების პროექტების განხილვაში;

თ) კონტროლს უწევს დამზადებული მარცვლეულის, კომბინირებული საკვების, ცილოვან-ვიტამინიანი დანამატების, პრემიქსებისა და კარბამიდიანი კონცენტრატის გამოსამუშავებლად მიწოდებული ყოველგვარი ნედლეულის, აგრეთვე სამინისტროს სისტემის საფქვავ-საბურღულე და კომბინირებული საკვების საწარმოთა მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხს;

—უზრუნველყოფს სახელმწიფო რესურსების მარცვლეულისა და მისი გადამუშავების პროდუქტების ხარისხის განსაზღვრას, ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) სავალდებულო დასკვნებისა და სხვა დოკუმენტების გაცემას ამ მარცვლეულისა და მისი გადამუშავების პროდუქტების ხარისხის შესახებ;

— ახორციელებს პურპროდუქტებისა და კომბინირებული საკვების ნედლეულის ხარისხის ინსპექციას საექსპორტო-საიმპორტო გადაზიდვისას, ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა) სავალდებულო ხარისხის სერტიფიკატების გაცემის ოპერაციების დროს;

— მონაწილეობს მარცვლეულის დამუშავებისას მისი დანაკარგების ნორმების, სამინისტროს სისტემის საწარმოებში ფქვილის, ბუროულის, პურფუნთუშეულის, საკონდიტრო, მაკარონისა და საფუვრის ნაწარმის და კომბინირებული საკვების წარმოებისა და დაფასოებისას მათი დანაკარგების ნორმების შემუშავებაში, აგრეთვე მონაწილეობს პურპროდუქტებისა და კომბინირებული საკვების ტრანსპორტირებისა და შენახვისას მათი ბუნებრივი დანაკლისის ნორმების შემუშავებაში;

ი) მონაწილეობს საფქვავი, ბურღულის, პურსაცხობი, მაკარონისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოების მიერ გამოსაყენებელი მარცვლეული კულტურების, პარკოსანი და ზეთოვანი კულტურების თესლის ჯიშების დარაიონებასთან და ტექნოლოგიურ შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში;

— ახორციელებს ღონისძიებებს შესყიდული ნედლეულის, ზეთოვანთა თესლის, მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ჯიშიანი და ჰიბრიდული თესლის და ბალახების თესლის დაწესებულ კონდიციებამდე დასაყვანად და უზრუნველყოფს მათს სრულ დაცვას;

კ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალებით და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტთან შეთანხმებით შეიმუშავებს დარგის საწარმოთა განვითარებისა და განლაგების სქემებს და წარუდგენს მათ დასამტკიცებლად დადგენილი წესით სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს;

—ორგანიზაციას უწევს სამინისტროს სისტემის პურეულის მიმღები, საფქვავი, ბურღულის, პურსაცხობი, მაკარონის, საფუვრისა და კომბინირებული საკვების ახალ საწარმოთა მშენებლობას, მოქმედის რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ კვლავაღჭურვას;

ლ) ორგანიზაციას უწევს საქვეუწყებო საწარმოებში გეგმით დაწესებულ მოცულობათა ფარგლებში მოწყობილობის, ნაკეთობების, კონსტრუქციებისა და სამარაგო ნაწილების წარმოებას სამინისტროს სისტემის მოქმედი და მშენებარე პურსაცხობი, მაკარონის, საფუვრისა და კომბინირებული საკვების საწარმოებისათვის;

მ) ახორციელებს სამინისტროს სისტემის მშენებარე, სარეკონსტრუქციო, ტექნიკურად კვლავაღსაჭურვი და მოქმედი პურეულის მიმღები, მარცვლეულის გადამმუშავებელი, პურსაცხობი, მაკარონის, საფუვრის საწარმოების დაკომპლექტებასა და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას დაწესებული ნომენკლატურის მოწყობილობით, ხელსაწყოებით, კაბელისა და სხვა ნაკეთობებით;

ნ) ხელმძღვანელობას უწევს სამინისტროს სისტემის სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, აგრეთვე ახორციელებს ღონისძიებებს სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო, საპროექტო სამუშაოთა შესასრულებლად, აკონტროლებს ამ სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობას, განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს გამოკვლევათა და ნამუშევართა შუალედური და საბოლოო შედეგების მიხედვით, ორგანიზაციას უწევს მათ საწარმოო შემოწმებას და ფართოდ დანერგვას წარმოებაში;

ო) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს საქვეუწყებო გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ტიპობრივ სტრუქტურებსა და ტიპობრივ შტატებს;

—ორგანიზაციას უწევს მუშათა კადრების მომზადებას, სწავლებას სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

—დადგენილი წესით აჯილდოებს სამინისტროს სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მოწინავე მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს სამკერდე ნიშნებით, საპატიო სიგელებით და იყენებს წახალისების სხვა ფორმებს;

— ახორციელებს ღონისძიებებს სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად პროდუქციის ნედლეულის დანაკარგებისა და უყაირათობის წინააღმდეგ საბრძოლველად სამინისტროს სისტემის გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კონტროლს უწევს სამინისტროს სისტემაში მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალურად და ეკონომიკურად გამოყენებას, მათი ხარჯვის პროგრესული ნორმების დანერგვას, უზრუნველყოფს წარმოების მასალატევადობის შემცირების რეზერვების გამოვლენას, ატარებს კომპლექსურ და დოკუმენტურ რევიზიებს;

პ) ახორციელებს დარგის გაერთიანებებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საფინანსო დისციპლინის, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, რენტაბელობის ამაღლების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების, აგრეთვე მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ საფინანსო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს;

ჟ) შეიმუშავებს და ახორციელებს საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების, საქმისწარმოებისა და საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის სრულყოფის ღონისძიებებს;

—ახორციელებს დადგენილი წესით მუშაობას სამინისტროს სისტემაში მართვის, დაგეგმვის, დაფინანსების, ეკონომიკური სტიმულირების, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფისათვის;

რ) იღებს ზომებს სამინისტროს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების დამხმარე სასოფლო მეურნეობათა განვითარებისათვის მეცხოველეობის პროდუქციით, ბოსტნეულითა და კარტოფილით ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მომარაგების გასაუმჯობესებლად;

ს) საიდუმლო;

ტ) საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსებისა და კრედიტის, კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში საქვეუწყებო გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციების განხორციელებისას სარგებლობს იმ უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს;

6. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს უფლება აქვს:

— მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან, აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებული წესით — შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისაგან საანგარიშგებო მონაცემები, რომლებიც სჭირდება სამინისტროს მისთვის დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად;

— ჩამოართვას საქვეუწყებო საწარმოებს იმ ოდენობის ფარგლებში, რაც ცენტრალიზაციას ექვემდებარება, საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროსათვის არასრულად გადარიცხული სარეალიზაციო სხვაობა და სამრეწველო მოგება.

7. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, და შემდეგ წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს მინისტრი.

8. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრი პერსონალურად აგებს პასუხს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანების შესრულებისა და თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის, განსაზღვრავს მინისტრის მოადგილეთა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სამინისტროს საქმიანობის ცალკეული უბნებისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე სამინისტროს სისტემის გაერთიანებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობისათვის.

10. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა სამინისტროს სისტემის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის, უზრუნველყოფს და ამოწმებს მათს შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს მითითებანი ბალ-პეტენციაში შემავალ სახელმწიფო პურის რესურსების ხარისხის, გადაადგილებისა და გამოყენების საკითხებზე სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისათვის, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა.

საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო საჭირო შემთხვევებში გამოსცემს რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ეროობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

11. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს კოლეგია თავის რეგულარულად მოწვეულ სხდომებზე განიხილავს საელევატორო, საფქვავის, ბურღულის, პურსაცხობი, მაკარონისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის განვითარების ძირითად საკითხებს, სამინისტროს სისტემის გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, ნორმატიული და სხვა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების პროექტებს, ისმენს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემის გაერთიანებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოხსენებებს, აგრეთვე განიხილავს სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

12. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ წინადადებების განსახილველად, საელევატორო, საფქვავ, ბურღულის, პურსაცხობ, მაკარონისა და კომბინირებული საკვების მრეწველობაში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსასაზღვრავად, წარმოებაში სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და დანერგვის თაობაზე რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროში იქმნება ტექნიკური საბჭო მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, წარმოების ნოვატორთა, აგრეთვე ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტრო.

13. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს თავის შემადგენლობაში შექმნილი აქვს არბიტრაჟი საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად დაქვემდებარების ფარგლებში და საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არბიტრაჟს უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებანი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებით შესრულების შესახებ.

არბიტრაჟის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრი.

14. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრი.

საქართველოს სსრ პურპროდუქტების მინისტრს შეუძლია გადაიყვანოს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფები სამეურნეო ანგარიშზე.

15. საქართველოს სსრ პურპროდუქტების სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება ქართულ და რუსულ ენებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნების რეალიზაციის ღონისძიებათა თაობაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ 1987 წლის 1 მაისიდან შემოღებულია სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა:

— მიიღონ განუხრელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის კანონი „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“;

— ხელი შეუწყონ ჩაბმას ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, აგრეთვე სხვა სახეობათა საქმიანობაში, რომელთაც საფუძვლად უდევს მოქალაქეთა და მათი ოჯახების წევრთა პირადი შრომა;

— პირველ რიგში ხელი შეუწყონ ომისა და შრომის ვეტერანებს, ინვალიდებს, ქრონიკულად დაავადებულ პირებს და სხვა მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ დაქვეითებული შრომისუნარიანობა ან ეწევიან ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას შორეულ და ძნელადმისადგომ ადგილებში;

— უზრუნველყონ მოქალაქეთა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გამოყენება საზოგადოების ინტერესებისათვის. წაახალისონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეთა ჩაბმა სახელშეკრულებო ურთიერთობაში სახელმწიფო, კოოპერაციულ, სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და ამ მოქალაქეთა გაერთიანება კანონმდებლობით დადგენილი წესით კოოპერატივებში, ნებაყოფლობითს საზოგადოებებში, ამხანაგობებში;

— ხელი შეუწყონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეებს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან იმ ნედლეულის, მასალების, ინსტრუმენტების, ნარჩენებისა და სხვა ქონების შეძენაში, რომლებიც ვარგისია გამოსაყენებლად, მაგრამ არ ესაჭიროებათ მათ, ან სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო სავაჭრო ქსელის მეშვეობით მათ შეძენაში, აგრეთვე დადგენილი წესით ბუნებრივი რესურსების მოპოვებაში;

— ხელი შეუწყონ წარმოებული პროდუქციის გასაღებას, მისცენ მოქალაქეებს დადგენილი წესით არასაცხოვრებელი სათავსები ან სხვა ქონება იჯარით, აგრეთვე მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია.

2. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაადგინონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვის საკითხზე მოქალაქეთა განცხადებების მიღებისა და განხილვის წესი, ამასთან ჩააბან ამ საქმეში შესაბამისი სამსახურები საქმიანობის სფეროების მიხედვით, ან ამავე მიზნით შექმნან მუდმივმოქმედი კომისიები;

— შექმნან იქ, სადაც ეს საჭიროა, სამხატვრო საბჭოები ხალხური მხატვრული რეწვის სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის უფლებაზე მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა და ნებართვის მიცემის მიზნით;

— ნება დართონ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით მოქალაქეებს, რომლებიც დიდად არიან დაინტერესებული იშვიათ მხატვრულ ნაკეთობათა დამზადებაში, ასწავლონ სხვა მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ საამისო მიდრეკილება და მოწოდება, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ასეთი სწავლების დებულების შესაბამისად;

— ცალკეულ შემთხვევებში მისცენ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვა საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელ შრომისუნარიან მოქალაქეებს რაიონის (ქალაქის) მუშახელის სიჭარბის, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომითი მოწყობის შეუძლებლობის, განსაკუთრებით დეფიციტური სახეობების ნაკეთობათა წარმოების და მოცემული რაიონისათვის (ქალაქისათვის) მომსახურების განვითარების აუცილებლობის გათვალისწინებით;

— ხელი შეუწყონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეებს იმ მხრივ, რომ შეიძინონ საჭირო ნედლეული (მეორეული რესურსების, წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების ჩათვლით), მასალები, ინსტრუმენტები და სხვა ქონება სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო სავაჭრო ქსელში, საქართველოს სსრ სახმომარაგების სისტემის ორგანიზაციებში და ბაზრებზე, ხოლო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან — ნედლეული, მასალები, ინსტრუმენტები, ნარჩენები და სხვა ქონება, რომლებიც ვარგისია გამოსაყენებლად, მაგრამ არ სჭირდებათ მათ, აგრეთვე გამოიყენონ შემკვეთთაგან (მოქალაქენი, საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები) მათთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით მიღებული მატერიალური რესურსები;

— ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის თაობაზე მოქალაქეთათვის ნებართვის მიცემის საკითხის გადაწყვეტისას უნდა იხელმძღვანელონ სსრ კავშირის კანონით „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“, ამ დადგენილებით, თანდართული დროებითი დებულებით საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესებისა და პირობების შესახებ და საკავშირო ორგანოებისა და საქართველოს სსრ სხვა ნორმატიული აქტებით;

— აღმასკომის ნებართვა მოქალაქეთათვის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის თაობაზე გააფორმონ საოქმო გადაწყვეტილებით, რომელიც გაუგზავნონ შესაბამის საფინანსო ორგანოებს ნებართვის სპეციალურ ფორმასთან ერთად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამოყონ საკოლმეურნეო ბაზრებსა და ბაზრობებზე შინამრეწველობისა ხელოსნური სარეწების პროდუქციის რეალიზაციისა და მოსახლეობისათვის მოსახერხებელი სავაჭრო ადგილები, აგრეთვე ხელი შეუწყონ ამ ნაკეთობათა რეალიზაციას საკომისიო საწყისებზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ქსელში;

— კონტროლი გაუწიონ „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დაცვას მოქალაქეთა მიერ;

— დაამტკიცონ მოქალაქეთა მიერ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის, სანიტარიული, ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა წესებისა და ნორმების დაცვის შემოწმების მიზნით საფინანსო ორგანოების, შრომის ადგილობრივი ორგანოების, შინაგან საქმეთა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობისა და სხვა ორგანოების ერთობლივი მუშაობის გეგმა;

— არ დაუშვან ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა დაქირავებული შრომის გამოყენებით უშრომელი შემოსავლის მიღების მიზნით ან სხვა საზოგადოებრივი ინტერესების საზიანოდ;

— გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული ზომები მოქალაქეთა მიერ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დარღვევების გამოვლენისას.

3. დამტკიცდეს თანდართული დროებითი დებულება საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესებისა და პირობების შესახებ.

4. დაწესდეს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობანი, რომლებზეც უნდა გაიცეს პატენტები და, პატენტის სასყიდლის ოდენობა, № 1 დანართის თანახმად.

5. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ უზრუნველყოს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარი მოქალაქენი „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის წესის შესახებ“ სსრ კავშირის სახმომარაგების 1987 წლის 10 მარტის № 26 ღადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

6. ცეკავშირის გამგეობამ და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ მისცენ საქვეუწყებო ორგანიზაციებს მითითება იმის შესახებ, რომ გამოყონ სავაჭრო ადგილები საკოლმეურნეო ბაზრებსა და ბაზრობებზე, სექციები, მაღაზიები ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით დამზადებულ ნაკეთობათა სარეალიზაციოდ.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და სხვა უწყებებმა განახორციელონ შესაბამისი მუშაობა სისტემის იმ მუშაკთა შორის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას ეწევიან, და დაგვარონ საქვეუწყებო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეატყობინონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ამ მუშაკთა შესახებ მათი სრული აღრიცხვის მიზნით.

8. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ:

— ორგანიზაცია გაუწიოს სისტემატურ მუშაობას იმ მოქალაქეთა გამოსავლენად, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას დადგენილი წესის დარღვევით ან ეწევიან აკრძალულ სახეობათა ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას;

— დააკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო ავტოინსპექციას მოვალეობა გასცეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების მოთხოვნით დასკვნები ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მდგომარეობისა და ტრანსპორტის სამართავად მძღოლთა დაშვების შესახებ, რაც საჭიროა იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომ მოქალაქეებს მიეცეთ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით პირადი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ნებართვა, და კონტროლი გაუწიოს ადამიანთა გადაყვანის წესების დაცვას მათ მიერ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ავტოინსპექციამ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შემოსავლის სამმართველოსთან ერთად დაამუშაოს იმ ავტომობილების საცნობი ნიშნები, რომლებიც ეკუთვნით მოქალაქეებს პირადი საკუთრების უფლებით და ეწევიან მგზავრთა გადაყვანას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ნებართვით.

9. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ხელი შეუწყონ საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეებთან ხელშეკრულებათა დადებაში.

10. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— უზრუნველყოს ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მეშვეობით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეთა სწორი დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადით;

— განახორციელოს ხელმძღვანელობა და დააწესოს კონტროლი იმ მოქალაქეთა გამოსავლენად საფინანსო ორგანოების საქმიანობისადმი, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას დადგენილი წესის დარღვევით ან ეწევიან აკრძალულ სახეობათა ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას;

— უზრუნველყოს შესაბამისი ბლანკებით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საფინანსო ორგანოები და შინაგან საქმეთა ორგანოები.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უზრუნველყონ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალა-

ქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასკომები ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის თაობაზე განცხადებისა და ნებართვის ბლანკების ბიუროებით.

12. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის შრომითი მოწყობის ბიუროების მეშვეობით განახორციელოს მოსახლეობაში საინფორმაციო მუშაობა სხვადასხვა სახეობის ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაზე მოთხოვნილების შესახებ, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩაბმას სახელშეკრულებო ურთიერთობაში სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკაში „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნების რეალიზაციის თაობაზე.

13. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა გააშუქონ „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნების რეალიზაციის საკითხები, აგრეთვე გამოაქვეყნონ და გადასცენ ამ საქმიანობის განსახორციელებლად მოსახლეობისათვის საჭირო ინფორმაციები.

14. დამტკიცდეს ნუსხა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობებისა, რომლებისთვისაც საჭირო არ არის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ნებართვა, № 2 დანართის თანახმად.

15. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ორი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი საქართველოს სსრ კანონ-

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ქ. თბილისი, 1987 წ. 15 აპრილი, № 198.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 15 აპრილის №1093
დადგენილებით

დროებითი დებულება

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესებისა და პირობების შესახებ

ეს დროებითი დებულება შემუშავებულია „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის საფუძველზე სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით; მისი მიზანია ხელი შეუწყოს ადამიანთა ჩაბმას ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში, მაქსიმალურად გაამარტივოს ნებართვის მიღება და გაფორმება, აგრეთვე პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაცია.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა გამოიყენება იმისათვის, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი საქონელსა და მომსახურებაზე, გაიზარდოს მოქალაქეთა დასაქმება საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობით, შესახლებლობა მიეცეთ მათ მიიღონ დამატებითი შემოსავალი თავიანთი შრომის დანახარჯის შესაბამისად.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვის გაცემის წესის შესახებ

მოქალაქეებს, რომლებიც გამოთქვამენ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სურვილს, შეაქვთ თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომში წერილობითი განცხადება თანდართული ნიმუშის თანახმად.

განცხადებები განიხილება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ დადგენილი წესით. განცხადებების განხილვისას მოქალაქეებს შეიძლება მოეთხოვოთ მათში აღნიშნული ცნობების დამადასტურებელი დოკუმენტები.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვის შესახებ ეგზავნება შესაბამის საფინანსო განყოფილებას მოქალაქეთა მიერ სარეგისტრაციო მოწმობის ან პატენტის მისაღებად.

სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლისას ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სარეგისტრაციო მოწმობის მქონე პირი მიიღებს ნებართვას ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში.

ხალხური მხატვრული რეწვის სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მსურველ პირთა განცხადებებს განიხილავენ და ნებართვას გასცე-

მენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან მოქმედი შესაბამისი სამხატვრო საბჭოები.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვის მიცემაზე უარის შემთხვევაში მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს ასეთი გადაწყვეტილება სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოს აღმასკომში. სამხატვრო საბჭოს უარი შეიძლება გასაჩივრდეს იმ ორგანოში, რომელთანაც შექმნილია სამხატვრო საბჭო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობებს, რომლებისთვისაც ნებართვის მიღება საჭირო არ არის.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ანსამხატვრო საბჭოს ნებართვის მიღება საჭირო არ არის, როცა შინამრეწველური სარეწის ნაკეთობათა დამზადება ან მომსახურება კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერად ხასიათს ატარებს, ხოლო ამ დროს მიღებული შემოსავლის თანხა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მოქმედ თვიურ, გადასახადით დაუბეგრავ მინიმუმს არ აღემატება.

სოციალურ-კულტურულ სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვის მისაღებად მთხოვნელი მოქალაქეებისადმი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ

ისეთი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვა, რომელიც დაკავშირებულია ცალკეული პროფესიების და ჩვევების სწავლებასთან, აგრეთვე მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, ეძლევათ მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ საჭირო მომზადება, ხოლო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — შესაბამისი განათლებაც.

ამასთან დაკავშირებით წესდება შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

— ხელოვნების სფეროში (მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის, ქორეოგრაფიის სწავლება და ა. შ.) — შესასწავლი საგნის პროფილის შესაბამისი უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი (უმაღლესი სასწავლებლის არანაკლებ სამი კურსი) ან საშუალო სპეციალური განათლება; საპატიო წოდება (სახალხო არტისტი, დამსახურებული არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე); შემოქმედებითი კავშირის წევრობა;

— რეპეტიტორობის წესით მეცადინეობათა ჩატარებისას, უცხო ენებიდან და უცხო ენებზე ტექსტების თარგმნისას, ასეთივე სამუშაოები სსრ კავშირის ხალხთა ენებზე — უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი (უმაღლესი სასწავლებლის არანაკლებ სამი კურსი) განათლება;

— ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში — სპეციალური (ფიზკულტურული) განათლება (უმაღლესი ან საშუალო), სპორტული წოდებანი (სპორტის დამსახურებული ოსტატი, დიდოსტატი ჭადრაკში ან შაშში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტის ოსტატი); სპეციალური (ფიზკულტურული) განათლების გარეშე პირები, რომელთაც გავლილი აქვთ სპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალური კურსები; დაუმთავრებელი უმაღლესი (ფიზკულტურული განათ-ლება (უმაღლესი სასწავლებლის არანაკლებ საში კურსი).

სოციალურ-კულტურულ სფეროში მომსახურების სხვა სახეობათა მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრა შეუძლიათ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სარეგისტრაციო მოწმობებისა და პატენტების გაცემის შესახებ

მოქალაქენი, რომელთაც მიიღეს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ან სამხატვრო საბჭოს ნებართვა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის უფლებისათვის, თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) საფინანსო განყოფილებაში იღებენ სარეგისტრაციო მოწმობას ან იძენენ პატენტს. მოწმობა და პატენტები გაიცემა ნებადართული საქმიანობის ყველა სახეობისათვის, გარდა ფასიანი სამუშაოებისა, რომლებიც ერთჯერად ხასიათს ატარებენ და შრომის მოცულობითა და ახალაურებით უმნიშვნელოა.

სარეგისტრაციო მოწმობებისა და პატენტების ბლანკები მზადდება ცენტრალიზებული წესით, და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს რესპუბლიკის ყველა საფინანსო ორგანოს აღნიშნული ბლანკებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მიმოსვლითი ხასიათის სამუშაოთა შემთხვევაში, აგრეთვე საქმიანობის ისეთი სახეობებისათვის, რომლებშიც ძნელდება შემოსავლის აღრიცხვა იმ რაიონის ან ქალაქის ფარგლებს გარეთ შინამრეწველური წარმოების ნაკეთობათა რეალიზაციასთან დაკავშირებით, სადაც მუდმივად ცხოვრობს შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვით დასაქმებული პირი, განსაზღვრავს ინდივიდუალური საქმიანობის სახეობებს, რომლებიც პატენტების საფუძველზე ხორციელდება.

სარეგისტრაციო მოწმობები ან პატენტები გაიცემა აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ამა თუ იმ საქმიანობისათვის სპეციალური ნებართვა საჭირო არ არის. ამასთან სარეგისტრაციო მოწმობის ან პატენტის გაცემის საფუძველს წარმოადგენს მოქალაქის მიერ საფინანსო ორგანოში შეტანილი განცხადება.

სარეგისტრაციო მოწმობის ან პატენტის მისაღებად მოქალაქენი წარუდგენენ საფინანსო ორგანოს პასპორტს, 3×4 სმ ზომის ფოტოსურათს, ხოლო მოქალაქეებმა, რომლებიც ირჩევენ პატენტებს, გარდა ამისა, უნდა შეიტანონ მათი სასყიდელი. ამავე დროს იხდიან სახელმწიფო ბაჟს.

იმ შემთხვევებში, როცა ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობაში მონაწილეობენ ერთად მცხოვრები მეუღლეები, მშობლები და სხვა 16 წლის ასაკს მიღწეული ნათესავები და კმაყოფაზე მყოფი პირები, ეს მოქალაქენი აღინიშნებიან სარეგისტრაციო მოწმობაში ან პატენტში, რომელიც ეძლევა მოქალაქეს.

სარეგისტრაციო მოწმობა და პატენტი ძალაშია ერთი კალენდარული წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ან სამხატვრო საბჭოს ნებართვა გაცემულია უფრო ხანგრძლივ ვადით. იმ შემთხვევებში, როცა ამა თუ იმ სახეობის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვა გაცემულია ერთ წელიწადზე ნაკლები პერიოდისათვის, შესაბამისად ამავე ვადით გაიცემა სარეგისტრაციო მოწმობა ან პატენტი.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შეწყვეტისას და სხვა დასახლებულ პუნქტში მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლისას სარეგისტრაციო მოწმობა ან პატენტი უნდა ჩაბარდეს ამ დოკუმენტების გამცემ საფინანსო ორგანოს. იმავე კალენდარული წლის განმავლობაში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განახლებისას, აგრეთვე ასეთი საქმიანობის სახეობის შეცვლისას სარეგისტრაციო მოწმობა ან პატენტი უნდა გაიცეს ხელახლა, დადგენილი წესით.

სარეგისტრაციო მოწმობის ან პატენტის გადაცემა სხვა პირთათვის აკრძალულია.

მოქალაქეებს, რომელთა მიმართაც მიღებულია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ან სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილება ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის აკრძალვის შესახებ, სარეგისტრაციო მოწმობა ან პატენტი უნდა ჩამოერთვათ.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სფეროში წარმოებული საქონლის რეალიზაციის შესახებ

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანოები ხელს უწყობენ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეებს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გასაღებაში, მიაჩნიათ რა ეს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის დამატებითი რესურსების წყაროდ.

შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეებს შეუძლიათ რეალიზაცია უყონ დამზადებულ პროდუქციას:

ა) უშუალოდ შემკვეთებთან;

ბ) ბაზრებზე და სხვა ადგილებში, სადაც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ნებადართულია აღნიშნული საქონლისა და ნაკეთობათა რეალიზაცია;

გ) სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და „ცენტროსოიუზის" სისტემის არასასურსათო საქონლის საკომისიო ვაჭრობის მაღაზიებში. საკომისიო მაღაზიების მეშვეობით ნაკეთობათა გაყიდვა ნებადართულია საკომისიო ვაჭრობის წესებით გათვალისწინებული საქონლის ნუსხის თარგლებში;

დ) საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით.

შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვით დასაქმებულ მოქალაქეებს შეიძ-ლიათ გაყიდონ ასეთი რეწვის ნაკეთობანი არა მარტო იმ ქალაქის ან რაიონის ფარგლებში, სადაც ისინი მუდმივად ცხოვრობენ, არამედ სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც.

ხალხური მხატვრული რეწვის ნაკეთობათა (ტრადიციული ხალხური აგრეთვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობათა) რეალიზაცია ხორციელდება გაყიდვა-გამოფენებზე ან სპეციალურად ამ მიზნისათვის გამო-ყოფილ სხვა ადგილებში, რომლებსაც განსაზღვრავენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები. ასეთივე წესით შეიძლება განხორ-ციელდეს სახვითი ხელოვნების სხვა ნაწარმოებთა რეალიზაცია.

შინამრეწველურ-ხელოსნური და ხალხური მხატვრული რეწვის ნაკეთო-ბათა მიყიდვა შემკვეთებისათვის და ბაზრებზე ხორციელდება შეთანხმებულ ფასებში.

საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან დადებულ ხელ-შეკრულებათა მიხედვით ნაკეთობანი იყიდება შეთანხმებულ ფასებში, მაგრამ არა უმეტეს სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ წარმოებული შესაბამისი საქონლისა და ნაკეთობათა მოქმედი სახელ-მწიფო საცალო ფასებისა.

შინამრეწველურ-ხელოსნური წარმოების ნაკეთობათა მიღება საკომისიო საწყისებზე გასაყიდად ხორციელდება გამომდინარე მოქმედი სახელმწიფო საცალო ფასებიდან, ნაკეთობათა ხარისხის და მათზე მყიდველთა მოთხოვნი-ლების გათვალისწინებით, აგრეთვე საკომისიო მაღაზიების სასარგებლოდ ანა-რიცხების დაკავებით 7 პროცენტის ოდენობით.

შინამრეწველურ-ხელოსნურ ნაკეთობათა გაყიდვა ნებადართულია იმ ნა-კეთობათა მიმართ, რომელთა წარმოების ნებართვა მოქალაქეს მისცა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა და აღნიშნულია სარეგისტრა-ციო მოწმობაში ან პატენტში.

პირადი ავტომობილების მფლობელთა მიერ მოქალაქეთა სატრანსპორტო მომსახურების შესახებ

მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ პირადი საკუთრების ავტომობილები და სურთა განახორციელონ სხვა მოქალაქეთა სატრანსპორტო მომსახურება, უნდა:

— ჰქონდეთ „ვ“ კატეგორიის მძღოლის მოწმობა და ავტომობილის მარ-თვის არანაკლებ სამი წლის უწყვეტი სტაჟი;

ჰქონდეთ შესაბამისი სამედიცინო ცნობა და გაიარონ სამედიცინო შე-მოწმება ყოველი სამი წლის შემდეგ;

— ჰქონდეთ ავტომობილები ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში და ყოველწლიურად გაიარონ დაწესებულ ვადებში ავტომობილის სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება.

მოქალაქეთა სატრანსპორტო მომსახურებისათვის დაშვებული არ უნდა იქნენ ის პირები, რომლებიც მართავენ ავტომობილს მინდობილობით, ინვალი-დი მძღოლები, რომელთაც აქვთ ხელით სამართავი ავტომობილები, და მძღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები, რომელთაც აქვთ სამედიცინო ცნობები მათი მოქმედების შეზღუდული ვადით.

მოქალაქეთათვის არასაცხოვრებელი სათავსების იჯარით მიცემის წესის შესახებ

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კუთვნილი არასაცხოვრებელი სათავსები იჯარით მიეცემათ ხელშეკრულებათა მიხედვით, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ 1980 წლის 24 ოქტომბერს დამტკიცებული განაკვეთებისა და ტიდობრივი ხელშეკრულების თანახმად.

მოქალაქეთა მიერ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დაცვისადმი კონტროლის ორგანიზაციის შესახებ

კონტროლს მოქალაქეთა მიერ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დაცვისადმი ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები. ასეთი კონტროლი ევალებათ შესაბამის ფუნქციონალურ გახყოფილებებს (სამმართველოებს) მათი კომპეტენციის ფარგლებში.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელებისას უნდა შემოწმდეს:

— აქვთ თუ არა მოქალაქეებს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სარეგისტრაციო მოწმობა ან პატენტი;

— შეესაბამეთა თუ არა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა სარეგისტრაციო მოწმობაში ან პატენტში გათვალისწინებულს;

— უზრუნველყოფილია თუ არა წარმოებული საქონლის და გაწეული მომსახურების ჯეროვანი ხარისხი;

დაცულია თუ არა სანიტარიული, ხანძარსაწინააღმდეგო წესები და ნორმები, აგრეთვე საქმიანობის მოცემულ სახეობასთან დაკავშირებული სხვა წესები;

— დაცულია თუ არა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეულის, მასალებისა და სხვა ქონების შეძენის დადგენილი წესები.

სოციალურ-კულტურულ სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ პირთა მიმართ მოწმდება გაწეული სამედიცინო, პედაგოგიური და სხვა სპეციალური მომსახურების ხარისხი.

შემოწმებათა და გამოკვლევათა მასალები ფორმდება ცნობებით. შემოწმებებში შტატის მუშაკებთან ერთად მიზანშეწონილია თანთოდ იქნენ მიწვეულნი საზოგადოებრიობის კომპეტენტური წარმომადგენლები — დეპუტატები და შესაბამის სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკები.

შემოწმებათა და გამოკვლევათა შედეგები განზოგადდება და პერიოდულად მოხსენდება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს. ამავე დროს შემუშავდება წინადაებანი სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობისა და მოსახლეობისათვის მომსახურების გამწევი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ მოქალაქეთა მუშაობაში დაუსაბუთებელი შეზღუდვების აღმოფხვრის შესახებ.

საფინამსო ორგანოები და შინაგან საქმეთა ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველ ნ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ პირთა სრულად გაძოვლემა, სისტემატური კონტროლი გაუწიონ ასეთი საქმიანობის განხორციელების დადგენილი წესის დაცვას, გამოააშკარაონ აკრძალულ სახეობათა საქმიანობის ფაქტები. ამასთან ერთად საფინანსო ორგანოები მოვალენი არიან შეამოწმონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მიმდევარ პირთა შემოსავლის აღრიცხვის სისრულე და სსწორე, გამოავლინონ მიღებული შემოსავლის შესახებ მოქალაქეთა მიერ დეკლარაციების არადროული ან აშკარად არასწორი წარდგენის შემთხვევები.

შემოწმებათა მსვლელობაში საფინანსო ორგანოებმა და შინაგან საქმეთა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მუდმივი საქმიანი ურთიერთმოქმედება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუშაობის კოორდინაციას „ინდივიდალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის დაცვისადმი კონტროლის გამსახორცელებლად.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესიუ დარღვევა ან ისეთი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა, რომლს თაობაზეც არის სპეციალური აკრძალვა, იწვევს ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის აკრძალვის შესახებ

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დამრღვევ პირებს შეიძლება აეკრძალოთ ამ საქმიანობის გაგრძელება. გადაწყვეტილებას ამის შესახებ, მიიღებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ან შესაბამისი სამხატვრო საბჭო, რომელმაც გასცა ადრე ასეთი საქმიამობის ნებართვა.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენენ:

— წინათ ნებართვის გამცემი ორგანოების ან საზოგადოებრიობის მოწვეული წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ შემოწმებათა და გამოკვლევათა მასალები;

კომპეტენტური ორგანოების მიერ შედგემილი ოქმები მოქალაქეთა მიერ კანონმდებლობის დარღვევების შესახებ;

— სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთამ არსებული ადმინისტრაციული კომისიების წარდგინებანი;

— პროკურორის ორგანოების წარდგინებანი.

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ან შესაბამისი სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილება მოქალაქეთათვის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის აკრძალვის შესახებ ეგზავნება შესაბამის საფინანსო ორგანოს, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გადაწყვეტილების საფუძველზეზ ჩამოართმევს მოქალაქეს სარეგისტრაციო მოწმობას ან პატენტს.

იმ შემთხვევებში როცა დადგემილია ისეთი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესის დარღვევის ფაქტი, რომლისთვისაც საჭირო არ იყო სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ნებართვა, სარეგისტრაციო მოწმობის ან პატენტის ჩამორთმევა შეუძლია უშუალოდ საფინანსო ორგანოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 15 აპრილის № 198 დადგენილების დანართი № 1

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობები, რომლებისთვისაც გაიცემა პატენტები, და პატენტის სასყიდლის ოდენობა

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობანი	პატენტის სასყიდლის წლიური თანხა (მანეთი)
საცხოვრებელი სახლების, საბაღე სახლების, გარაჟების მშენებლობა, კეთილმოწყობა, რემონტი	
ქვის სამუშაოები	750
საბათქაშო სამუშაოები	700
მოსაპირკეთებელ-ფილადასაგები სამუშაოები	750
სახუროო სამუშაოები	750
სამღებრო სამუშაოები	800
კიბის საფეხურების, საშენი ბლოკების დამზადება	520
პარკეტის დაგება	750
საშემდუღებლო სამუშაოები	550
სახურავი სამუშაოები	700
სანტექნიკური სამუშაოები	700
საზეინკლო სამუშაოები	450
პირადი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური მომსახურება და რემონტი	
თუნუქსაშემდუღებლო სამუშაოები	800
მომზადება და შეღებვა, შეღებვა და კოროზიისაგან დაცვა	700
კამერებისა და საბურავების ვულკანიზაცია	700
ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სხვა სახეობანი	500
მსუბუქი ავტომობილებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა მიერ მოქალაქეთა სატრანსპორტო მომსახურება	
აფხაზეთის ასსრ (გულრიფშისა და გალის რაიონების გარდა), აჭარის ასსრ (ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონების გარდა), ქ. თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, წყალტუბო	720
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (ჯავისა და ზნაურის რაიონების გარდა), ქ. ფოთი, ჭიათურა, გორი, ცყიბული, ზუგდიდი, მარნეული, აბაშის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, მარნეულის, მახარაძის, მცხეთის, სამტრედიის, თელავის, ხაშურისა და ცხაკაიას რაიონები	600

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობანი	პატენტის სასყიდლის წლიური თანხა (მანეთი)
დანარჩენი რაიონები	500
ფოტომომსახურება	300

შენიშვნები: 1. ზემოაღნიშნული პატენტის სასყიდლის წლიური თანხა ნაჩვენებია დღეში 4 საათის ინდივდუალური შრომითი საქმიანობის ანგარიშით, გარდა დასკვენებისა და სადღესასწაულო დღეებისა, ე. ი. წელიწადში სულ 1032 სამუშაო საათი.

ნაკლები ან მეტი დროის განმავლობაში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისათვის პატენტის გაცემის შემთხვევაში შესაბამისად უნდა შემცირდეს ან გადიდდეს პატენტის სასყიდლის თანხა.

2. საზოგადოებრივ წარმოებაში დაუსაქმებელ შრომისუნარიან მოქალაქეთათვის ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ნებართვის მიცემის შემთხვევაში პატენტის სასყიდლის თანხა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს რვასაათიანი სამუშაო დღის მიხედვით.

3. ნება დაერთოთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს პენსიონერთა, დიასახლისთა, სტუდენტთა, მოსწავლეთა, ინვალიდთა და საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულ პირთა კატეგორიების ცალკეულ მოქალაქეთა მუშაობის ინტენსიურობის, აგრეთვე რეგიონალური სპეციფიკის, ინდივიდუალური საქმიანობის ნაკეთობათა და მომსახურების არსებული ფასებისა და ტარიფების გათვალისწინებით გაადიდონ ან შეამცირონ პატენტის სასყიდლის ოდენობა.

4. სასყიდლის წლიური თანხა შეიტანება ოთხჯერ — 25-25 პროცენტის ოდენობით, პირველად — პატენტის გაცემის დროს, მეორედ — 15 აპრილს, მესამედ — 15 ივლისს და მეოთხედ — 15 ოქტომბერს.

თუ მოქალაქეს პატენტი ერთ წელიწადზე ნაკლები პერიოდისათვის მიეცა, პატენტის თანხა იყოფა თანაბარ ნაწილებად გადახდის ვადების მიხედვით, პირველი გადახდის ჩათვლით, რაც მოდის ამ პერიოდში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1987 წლის 15 აპრილის № 198 დადგენილების დანართი № 2

ნუსხა

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სახეობებისა, რომლებისთვისაც საჭირო არ არის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ნებართვა

შეშის ხერხვა და პობა

თეთრეულის რეცხვა ბინაზე სპეციალური სამრეცხაოების მოუწყობლად

ატაკის და ფანჯრების რეცხვა

მარტოხელა ხანდაზმულთა, ინვალიდთა, ბავშვთა და შრომისუუნარო მოქალაქეთა მომსახურება

მოქალაქეთათვის მომსახურების გაწევა საოჯახო მეურნეობის წარმოებაში

ეროვნული ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ქუდების დამზადება და შეკეთება

ეროვნული ხალხური ნაკეთობებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების დამზადება და შეკეთება

სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ხის სახელურების დამზადება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ს. რიგვავა**

ინდექსი—76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1987 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VII-87 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 5, სააღრიცხვო თაბახი 5.

შეკვეთა 766 უე 10775 ტირაჟი 1900

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა